ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 2018 №44 (7589) ფასი: 50 თეთრი

**ლევან ჩაჩუა: „იგეგმება ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანება“** გვ.4



22 თებერვლიდან

ეჟენ იონესკო

განდგომილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# „კახა კალაძემ ბიძინა ივანიშვილს გადაურბინა“



რატომ შეცვალეს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი


გვ.3

## დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ გვ.3



ოთარ დანელია ზურაბ ალავიძის წინააღმდეგ



„მწიფდება პოლიტიკური კრიზისი“



## თენგიზ დიხამინჯია: „რევოლუცია გარდაუვალია“ გვ.5



## დავით დარჩიაშვილი: „ქართული კრიმინალური ჯგუფები ნამდვილად არიან ევროპაში“ გვ.2

### სამართალი გვ.7



„ალექსანდრე მუხაძემ დამავალა სერგო თეთრაძეზე ძალადობის განხორციელება“



მარიამ კუბლაშვილი: „ყველაფერს ვაყენებ ექვქვეშ“

მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულმა ბექა კირვალიძემ მშრალი შიმშილობა დაიწყო



კალათბურთის გარიგებულ მატჩებზე დაკავებულებთან საპროცესო შეთანხმება ფორმდება

### ეკონომიკა გვ.6



საქართველოს ეკონომიკის ნახევარზე მეტი ჩრდილშია



ფინანსთა მინისტრი ბიზნესისთვის 6 ახალი ინიციატივით გამოდის




მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა 1 თვეში 4,8 ათასით გაიზარდა

ISSN 1987-9385

2 ანა ნაცვლიშვილი: „პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო ფორმალურად დაძლია“

5 რომან გოცირიძე: „საუბარი, რომ სიგარეტი ვერ გავყიდე და ტელევიზია დაიხურება, არაა სწორი“

4 კახა კუკავა: „ხელისუფლებისთვის თავისუფალი მედია მთავარი მოკავშირეა“

5 გერმანიიდან საქართველოს 65 მოქალაქე გამოაძევეს

# „ქართული კრიმინალური ჯგუფები ნამდვილად არიან ევროპაში“

## დავით დარჩიაშვილი: „ყველაფერს რუსულ პროპაგანდას ნუ დავაბრალებთ“

ნათია ხურცილავა



„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, გერმანიაში დღე არ გავა, რომ ქართველებზე ნეგატიური მასალა არ გამოქვეყნდეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსული პროპაგანდის გავლენით ხდება ეს ყველაფერი, იქნებ ვიღაც მუშაობს, რომ წარსულში დაგვაბრუნოს და არანაირი ფანჯარა არ გაგვეხსნას ევროპისკენ?***

– როდესაც სახელმწიფო მოხელეები, მაგალითად, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი საუბრობს ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, მათ თავიანთი საინფორმაციო წყაროები აქვთ და ისინი ნაკლებად ეყრდნობიან რუსულ პროპაგანდას. თუმცა, რასაკვირველია, რუსული პროპაგანდა არის ევროპაში. რუსებს შექმნილი აქვთ ქსელი, მათ შორის მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური ქსელები, რომლებიც კრემლისგან ფინანსდებიან და რომლებიც კარგად მუშაობენ. ცხადია, ეს პროპაგანდა ზეგავლენას ახდენს იქაური მოქალაქეების გონებაზე. რასაკვირველია, ამ ფონზე საჭიროა სერიოზული ანალიზი ჩატარდეს, გარდა მინისტრის განცხადებისა, რა წყაროები ტირაჟირებენ ასეთ ინფორმაციას.

ეს ერთი მხარე, მაგრამ ჩვენ ხომ მშვენივრად ვიცით, რომ ქართული კრიმინალური ჯგუფები ევროპაში არიან. ეს კრიმინალური ჯგუფები ეკვრიან პოსტსაბჭოთა ქვეყნების კრიმინალურ ჯგუფებს და ასე მოქმედებენ ევროპაში. ჩვენი კრიმინალური ჯგუფები საერთო ენას ნახულობენ ალბანელებთან, ალბანურ კრიმინალურ ჯგუფებთან, ეს არის რეალობა. როგორც ჩანს, ეს ჯგუფები მუდმივად განიცდიან შევსებას საქართველოდან, რადგან ვიზალიბერალიზაცია ამ პროცესს ძალიან აადვილებს.

***– რა შეიძლება იყოს გამოსავალი?***

– აქ უკვე პრობლემა ისაა, რომ ქართული სახელმწიფო არის ძალიან სუსტი. ასეთ სუსტ სახელმწიფოებს არ აქვთ უნარი, რომ ძირითადი სერვისები, მათ შორის უმთავრესი – უსაფრთხოება – მიაწოდოს თავის მოქალაქეებს, ამას ემატება სიღარიბე. ეს ყველაფერი ერთობლიობაში ქმნის იმ ნოყიერ ნიადაგს, რომ ქართული კრიმინალური დაჯგუფებები გაიზარდოს და მოგზაურობდეს როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ისე ევროპის მასშტაბით და იმის მიღმაც. ამიტომ არ მგონია, სწორი იყოს, რომ მხოლოდ რუსულ პროპაგანდას გადავაბრალოთ ეს ყველაფერი.

***– ვიზალიბერალიზაციის შეჩერების ამოქმედება მართლაც რეალურია?***

– როგორ არ არის რეალური, რასაკვირველია, რეალურია. თუმცა, ამ ეტაპზე ევროპაში არავის სურს, რომ საქართველოს ხელი ჰკრას და ზურგი შეაქციოს. ამის გამოა, რომ ამ ყველაფერს აქამდე ითმენს. თუმცა, დაუსრულებლად ამის ატანა და მოთმენა ველარ გაგრძელდება, ამიტომ საჭიროა, ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

***– იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ახალი გვარის მიღება, ცოლის, ბებიის გვარზე გადასვლა გაუჭირდებათ მოქალაქეებს. ეს რამდენად არის გამოსავალი?***

– გამოსავალი ორ რამეშია: პირველი, კრიმინალთან სერიოზული დაპირისპირება, რომელიც გულისხმობს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, პირველ რიგში, კანონიერი ქურდების ინსტიტუტთან ბრძოლას და ქუჩის კრიმინალის ალაგმვას, რომელიც რეალურად გაზრდილია და რომელიც ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, რომელიც ვრცელდება ახალგაზრდებში და ვრცელდება სკოლებში. ამის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლაა საჭირო. ისიც კარგია, რომ რასაც ხელისუფლება 5 წელი მალავდა, დღეს აღიარებს, მაგრამ მხოლოდ აღიარება არ კმარა.

მეორე პრობლემა არის ეკონომიკა. ქვეყანა სულ უფრო და უფრო ემსგავსება ოლიგარქიულ წარმონაქმნს, სადაც მდიდრდება მხოლოდ ვიწრო ჯგუფი, რომელიც დაახლოებულია ხელისუფლებასთან, დანარჩენი მოსახლეობა კი ძალიან ღარიბია. სამწუხაროდ, ხელისუფლებას შეიძლება აწყობდეს კიდეც, რომ რაც შეიძლება მეტი უკმაყოფილო ტოვებდეს ქვეყანას.

***– რატომ შეიძლება აწყობდეს?***

– იმიტომ, რომ ეს ხალხი არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას. ასეთ პირობებში ხელისუფლების შენარჩუნება უფრო ადვილია, მაგრამ ეს არის არასერიოზული დამოკიდებულება.

***– უარყოფითი ენერგიის აკუმულირება ყოველთვის არის შესაძლებელი და დარჩენილები მიიღებენ გადაწყვეტილებას.***

– დიახ, ყოველთვის დარჩება ის კრიტიკული მასა, რომელიც ხელისუფლებას დაასრულებს, თუკი ეს პროცესი ასე გაგრძელდება. როდესაც გიჭირს რადიკალური ნაბიჯის გადადგმა, რეალური რეფორმების განხორციელება, მაშინ რჩება ერთადერთი გზა – როგორმე შეინარჩუნო ძალაუფლება, ხელისუფლება. თბილი ადგილები, კომფორტი, ეს ყველაფერი რისკის ქვეშ მართლაც დადგება, თუ არ გაატარებ რეალურ რეფორმებს, მართლა არ იზრუნებ ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. რეალურად თუ არ დაუპირისპირდები კრიმინალს.

მთელი ნიშნებია, რომ ხელისუფლება შეზრდილია კრიმინალთან, ამიტომ როგორ უნდა ებრძოლოს იმას, ვისაც არჩევნების დროს დაიხმარებს.

***– გადაჭარბებული ხომ არ არის ეს შეფასება?***

– არ არის გადაჭარბებული. გვაქვს ინფორმაცია, როგორ გადიან და გამოდიან ორგანიზებული დანაშაულის ხელმძღვანელები ქვეყანაში. მათ მწვანე შუქი აქვთ ანთებული.

***– გახარიას განცხადებები არ იყო დამაიმედებელი ამ მხრივ?***

– იმ ფონზე, როდესაც გვესმოდა განცხადება იმის შესახებ, რომ „კრიმინალი კარგად არის“, გახარიას განცხადება, რომ არც ისე კარგად არის – კარგია, მაგრამ მხოლოდ განცხადება არ არის საკმარისი, ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი.

## ანა ნაცვლიშვილი: „პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო ფორმალურად დაძლია“



საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ანა ნაცვლიშვილის განცხადებით, პარლამენტმა მხოლოდ ფორმალურად დაძლია ვეტო და დარბაზშივე აღიარა პრეზიდენტის ვეტოს არგუმენტების სისწორე.

როგორც „მაუწყებლის შესახებ“ ვეტოს დაძლევის შემდეგ ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, დღეს არაფერი ახალი არ იხილა საზოგადოებამ პარლამენტში, რაც არაერთ ვეტოზე არ მომხდარა.

– ჯერ დაძლევენ პრეზიდენტის ვეტოს თითქოს იმ მოტივით, რომ არგუმენტები არ არის ზუსტი და ასე შემდეგ, ცოტა ხანში, თვითონვე ცდილობენ ზუსტად ის ცვლილებები შეიტანონ, რაც ვეტოშია დაფიქსირებული.

უბრალოდ, მათთვის რთულია პრეზიდენტის ვეტოს გაზიარება და ამიტომ, ასე არარაციონალურად იხარჯება სახელმწიფო რესურსი, დრო და ენერგია. დღესვე აღიარეს მათ, რომ ის ნაწილი, რაც ეხებოდა შესყიდვებს, არასწორია და რაც წერია ვეტოში, სწორი. და ცოტა ხანში ვნახავთ იმ აღიარებასაც, რომ, დიახ, მედიაგარემოზე ამ ყველაფერმა ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

## გიორგი აბაშიშვილი: „პარლამენტში ტრადიცია დამკვიდრდა, რომ მარგველაშვილის მიერ წარმოდგენილი ვეტო დაძლეულიყო“



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი მაუწყებლობის შესახებ კანონზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას გამოეხმაურა.

მისი თქმით, პარლამენტში ტრადიცია დამკვიდრდა, რომ მარგველაშვილის მიერ წარმოდგენილი ვეტო დაძლეულიყო.

– გამოჩნდა, როგორ ხელოვნურად გადააფიქრებინეს უმრავლესობის წევრებს განსხვავებული აზრი მხოლოდ იმიტომ, რომ მარგველაშვილის მიერ წარმოდგენილი ვეტო დაძლეულიყო. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ეს პიროვნული ფაქტორი, იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტში გარკვეული ტრადიცია დამკვიდრდა. იღებენ კანონს, თან ამბობენ, რომ ცუდი კანონია და ამბობენ, რომ ახლა მივიღებთ და მერე შევცვლით, – აღნიშნა აბაშიშვილმა.

## ზვიად კუპრავა: „მაინც გაიგებს ხალხი სიმართლეს!“



ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეზე 21 თებერვალს თბილისის მთავარ სამართველოში დაკითხვაზე იყო დაბარებული ყოფილი სამართალდამცავი, „რეფორმების ცენტრის“ დირექტორი ზვიად კუპრავა. საქმე ეხებოდა ფარულ ჩანაწერს, სადაც საუბარია ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი პირის ბაბუაზე, რომელიც, გავრცელებული ჩანაწერის მიხედვით, მისი შვილიშვილის იქ ყოფნის დაფარვას გარკვეული თანხის სანაცვლოდ ითხოვდა.

მოწმეთა მოქრთამვის შესაძლო ფაქტზე ზვიად კუპრავა გამოძიებას ითხოვდა. მან ამის შესახებ განცხადება პროკურატურაში რამდენიმე დღის წინ თავად შეიტანა.

დაკითხვის დასრულების შემდეგ ზვიად კუპრავა აცხადებს, რომ მას ხელი მოაწერინეს ინფორმაციის გაუთქმელობაზე.

– საგამოძიებო ორგანოში ხელი მომაწერინეს ყველა იმ ინფორმაციის გაუთქმელობაზე, რომელსაც მე ვფლობ ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

აქამდე, მე ვიყავი ერთ-ერთი წყარო საზოგადოებისთვის, თუ ერთადერთი არა, ვისგანაც ხალხი გებულობდა ფაქტებს, რომელსაც პროკურატურა საგულდაგულოდ მალავდა და მალავს.

დღეს მე ამაში კანონით და უკანონოდ შემზღუდეს!

თუ ვინმეს აქვს ეჭვი, რომ ჩემი გაჩერება რამეთი არის შესაძლებელი, ძალიან ცდება!

პ.ს. მაინც გაიგებს ხალხი სიმართლეს!!!

პპ.ს. ველოდები, როდის მომიგზავნით ახალ გიჟს! – წერს ზვიად კუპრავა

## „აზოტის“ ქარხნიდან შვიდი ტონა სასუქი მოიპარეს

სს „აზოტის“ ქარხანაში შვიდი ტონა მინერალური სასუქი – ამონიუმის გვარჯილა მოიპარეს. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

„ინტერპრესნიუსს“ აღნიშნული ფაქტი შსს-ში დაუდასტურეს და განუცხადეს, რომ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლითაა აღძრული, რაც ქურდობას გულისხმობს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“

შორენა მარსაგიშვილი





ოთარ დანელია ზურაბ ალავიძის წინააღმდეგ

**აზიურმა ფაროსანამ მოსახლეობისთვის მოსავლის გაჩანაგება არ იკმარა და მმართველი პარტიის წევრებს დააჭმევინა ერთმანეთი. გუშინ აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ პოლიტიკური კრიზისი მწიფდება.**

**დანელია ინფრასტრუქტურის მინისტრსაც დაუპირისპირდა. მან ზურაბ ალავიძე გულგრილობაში დაადანაშაულა, მოგვიანებით კი პოზიცია ოდნავ შეცვალა.**

**პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას მან შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომა მისი დაწყებიდან რამდენიმე წუთში დატოვა.**

– მინდა შევეხო დიდ გამოწვევას, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, აზიურ ფაროსანაზეა საუბარი. მთავრობის ინიციატივით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელიც ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ რიგ ღონისძიებებს გეგმავს. ლევან დავითაშვილს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, რომელიც კომისიას ხელმძღვანელობს, გაწეული სამუშაოსა და კარგად მომზადებული გეგმისთვის.

თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, მაქვს განცდა, რომ არასათანადოდ არის აღქმული ეს პრობლემა, რომელიც ჩვენ გვექმნება მიმდინარე წელს. გასულ წელს სამეგრელოს, იმერეთის სოფლებს, გურიას პრაქტიკულად გადაუარა აზიურმა ფაროსანამ, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა და განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა ინფრასტრუქტურის მინისტრი ბოლომდე არც კი ესწრება ამ სხდომას, ტოვებს მას დაწყებიდან რამდენიმე წუთში და ის ერთხელაც არ მინახავს ჩასული რეგიონში, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

მან დახმარებისთვის პრემიერსაც მიმართა და სთხოვა, რომ ის ჩაუდგეს ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში.

– მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, რომ გაცილებით ეფექტური იქნება, თუ ის თავად უხელმძღვანელებს ამ კომისიას. ამაზე დიდი საფრთხე ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს არ არსებობს. ეს პრობლემა არაფრით არ ჩამოუვარდება იმ პრობლემას, რომელიც ხანძრის დროს იყო ბორჯომში და ვფიქრობთ, რომ იგივე დოზით, მთავრობის კონსოლიდაცია იგივე ფორმით არის საჭირო და სჭირდება უმაღლესი სტატუსი ამ ღონისძიებების ეფექტურად გატარებას, – განაცხადა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

მან დახმარება პარლამენტის სპიკერსაც სთხოვა. ოთარ დანელიამ ირაკლი კობახიძეს, როგორც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს, ისე მიმართა.

## „მწიფდება პოლიტიკური კრიზისი“

მარტვილის მაჟორიტარის მტკიცებით, მის სამაჟორიტაროში მწიფდება პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც „ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრი აღვივებს.

– ჩვენ ამ თემასთან დაკავშირებით არაერთხელ გვქონდა საუბარი. მწიფდება პოლიტიკური კრიზისი, პირდაპირ შემიძლია ვთქვა და ბატონო ირაკლი, მინდა თქვენ მოგმართოთ თხოვნით, როგორც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს, რომ ჩაერიოთ სიტუაციის გარკვევაში. ვინაიდან ფაქტია, რომ არაჯანსაღი სიტუაციაა და მე მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე ჩვენი თანაპარტიელი ხელს უწყობს ამ პრობლემის ერთგვარად ესკალაციას, – მიმართა დანელიამ კობახიძეს.

მაჟორიტარის ამ განცხადებით გაოგნებული დარჩა მარტვილის მერი. ალექსანდრე გრიგალავა ამბობს, რომ მარტვილში სრული სიმშვიდეა და არავითარი კრიზისი არ შეინიშნება.

– გაოგნებული ვარ ოთარ დანელიას ამ განცხადებით. არავითარი პოლიტიკური კრიზისი მარტვილში არ არის, ჩვეულებრივი მუშა პროცესი გვაქვს, როგორც ყოველთვის. დანარჩენი, რაში ხედავს პოლიტიკურ კრიზისს, რა ფაქტების გამო აკეთებს ბატონი ოთარი ამ განცხადებას, მას უნდა ჰკითხოთ, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, – თქვა მარტვილის მერმა.

გრიგალავამ უარყო დანელიასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შესაძლო უთანხმოება.

– ჩემი მხრიდან არანაირი დაძაბული ურთიერთობა არ მაქვს. ყოველთვის მზად ვართ ბატონ ოთართან თანამშრომლობისთვის. რადგან ასე გადაწყვიტა, რომ დაძაბული სიტუაციაა და ამას თვითონ იძახის, მაშინ თვითონვე უნდა გასცეს პასუხი, რას გულისხმობს.

ჩემგან მას არანაირი დაძაბული სიტუაცია არ აქვს. არც პარტიის წევრებთან და არც უმრავლესობასთან. რატომ ფიქრობს ბატონი ოთარი ასე, არ ვიცი. ძალიან გამიკვირდა ეს განცხადება, ვინაიდან ის სხვა კუთხით უნდა იქცეოდეს მუნიციპალიტეტთან მიმართებით და ეს განცხადება ძალიან გასაოცარია, – აღნიშნა მერმა.

რაც შეეხება პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას, გრიგალავამ განაცხადა, რომ შესაძლო განხეთქილების შესახებ ეცოდინებოდა.

გაოგნებული დარჩა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრიც.

ზურაბ ალავიძე არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შექმნილი კომისიის სხდომა რამდენიმე წუთში დატოვა.

– თუ ასეთი განცხადება გააკეთა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ გააკეთა. სხდომაზე ვიჯექი ჩვეულებრივად, დაახლოებით ერთი საათი. ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში მობილიზებულები ვართ თავიდან ბოლომდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ეს ჭირი დავამარცხოთ. ყოველ შემთხვევაში, წელს დიდი რაოდენობით შევამსუბუქოთ ის დაწოლა, რაც ფაროსანაზე გვაქვს. ერთ წელში ამის მთლიანად მოგვარება ძალიან რთული იქნება, – აღნიშნა მინისტრმა.

მინისტრის რეაქციის შემდეგ, დანელიამ თავისი განცხადების ტექსტი შეცვალა. კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ არსად უთქვამს, ალავიძე კომისიის სხდომას არ ესწრებოდაო.

– მე არ მითქვამს, რომ ზურაბ ალავიძე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა, მე ვთქვი, რომ რამდენიმე წუთში წავიდა და ბოლომდე არ დაესწრო, თუმცა ჩემთვის არ არის პრინციპული მნიშვნელობის, სხდომას ვინ და რამდენი ხნით დაესწრება, ჩემთვის მთავარია, შედეგი რა იქნება და რამდენად პრიორიტეტულად უდგებიან საკითხს. ჩვენ ვნახეთ, რაც მოხდა შარშან და მე ნამდვილად არ ვისურვებ, რომ იგივე სურათი დადგეს.

მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად თავი არ დაუზოგავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეს ამ სამინისტროს მასშტაბს სცდება და არ შეიძლება ეს პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთი სამინისტროს დონეზე დარჩეს. ეს არის უმნიშვნელოვანესი და ყველაზე დიდი გამოწვევა რეალურად, რაც დღეს ჩვენ გვაქვს და ამას სჭირდება ერთიანი ძალისხმევით მაქსიმალური მობილიზაცია, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

# „კახა კალაძემ ბიძინა ივანიშვილს გადაურბინა“

## რატომ შეცვალეს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი

შორენა მარსაგიშვილი

დედაქალაქის საკრებულოში დიდი ამბებია, საკრებულოს თავმჯდომარის წინააღმდეგ ოპოზიციას პროკურატურაში შეაქვს განცხადება. საქალაქო სამსახურების უფროსების სკანდალმა კი ყველაფერი გადაფარა.

გუშინ, 21 თებერვალს, თბილისის საკრებულომ ორი საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი დაამტკიცა. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის პოსტი ირაკლი გვილავამ დაიკავა, ხოლო ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირზიკაშვილი დაამტკიცეს.

სკანდალი სწორედ მირზიკაშვილის კანდიდატურის წარდგენას მოჰყვა. საქმე იმაში გახლავთ, რომ თავიდან ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ ვახტანგ ჯოხაძე წარადგინა.

თბილისის მერიიდან საკრებულოს დასამტკიცებელ კანდიდატთა ნუსხაში კი სულ სხვა გვარი ეწერა. აღმოჩნდა, რომ ჯოხაძე მირზიკაშვილით ჩაანაცვლეს.

უმრავლესობაში მყოფმა მეოცნებეებმა ეს უცნაურობა არ შეიმჩნიეს და მირზიკაშვილი უპრობლემოდ დაამტკიცეს.

მათგან განსხვავებით, კითხვები გაუჩნდა ოპოზიციას. ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძე განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის გაყოფა-გაერთიანებაზეც ამახვილებს ყურადღებას.

– რამდენიმე დღის წინ კახი კალაძემ დიდი ზარზეიმით წარგვიდგინა ახალი ურბანული სამსახურის უფროსი, ბატონი ჯოხაძე და 20 თებერვალს, ღამის 12 საათზე მოგვივიდა მასალა და აღმოჩნდა, რომ წარდგენილია სრულიად სხვა ადამიანი, ქალბატონი რუსუდან მირზიკაშვილი. კითხვები გვაქვს, რატომ მოხდა ასე.

დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თავის დროზე, როცა ნაციონალური მოძრაობა ამას ვაპროტესტებდით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის გაყოფა იყო ხელოვნური და ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ კახი კალაძეს საკუთარი უდიპლომო ცოლის ძმა დაენიშნა, დღეს ამ სამსახურს ისევ აერთიანებს, – განაცხადა ირაკლი ნადირაძემ.

ჯოხაძის კანდიდატურის შეცვლას ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან ხაბეიშვილი ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს. ივანიშვილის რისხვა ჯოხაძემ მხოლოდ იმიტომ დაიმსახურა, რომ მას პანორამა თბილისი არ მოსწონს.

– 15 თებერვალს კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე წარმოადგინა ჯოხაძე. მისი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა. გვითხრა, რომ აწი ეშველებოდა დედაქალაქს. ამის შემდეგ ეს ადამიანი ჩვეულებრივად დადიოდა საკრებულოში და დებატებშიც მონაწილეობდა, როგორც საქალაქო სამსახურის უფროსი.

„ოცნების“ მამები, ეტყობა, კალაძეს ბოლომდე არ ენდნენ და ჯოხაძის შესახებ ინფორმაცია გადაამოწმეს. ჩვენი ინფორმაციით, ჯოხაძეს ჰქონდა თავისი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პანორამა თბილისის წინააღმდეგი იყო. პანორამა თბილისი კი „ოცნების“ მამის სუსტი წერტილია.

ამან ის შედეგი გამოიღო, რომ გუშინ, 21 თებერვალს, საკრებულოში მოვიდა გოგონა, რომელმაც გვითხრა, მე ვარ საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტზე წარდგენილიო, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხაბეიშვილმა.

კითხვაზე, იცოდა თუ არა კალაძემ ჯოხაძის ანტიპანორამისტული განწყობის შესახებ, დეპუტატი ასე გვპასუხობს:

– შეიძლება არ იცოდა, შეიძლება იცოდა და ამას დიდი ყურადღება არ მიაქცია. სამაგიეროდ, „ოცნების“ მამებმა მიაქციეს ამას ყურადღება.

ოპოზიციონერს ეჭვი არ ეპარება, რომ ჯოხაძის ჩამირზიკაშვილებაში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია.

– საქალაქო სამსახურის უფროსად პანორამა თბილისის მოწინააღმდეგის დანიშვნით კალაძემ ივანიშვილს გადაურბინა. ივანიშვილი ამას არ მოითმენდა. აიღებდა ყურმილს, დარეკავდა და კალაძეს ეტყოდა, კახი, ეს რა ქენი, კახი. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ კალაძეს ახალი კანდიდატურა შეერჩია.

ბიძინას ძლიერი ხელი ყველგან იგრძნობა, მათ შორის საკრებულოშიც, ვინც გინდა ის ლანძღე, დეპუტატები ჩუმად არიან, საკმარისია დავიჩურჩულოთ ბიძინა, რომ უმრავლესობის წევრებს თვალები ენთებათ და ჩხუბს იწყებენ. დარწმუნებით ვამბობ, რომ ამ საქმეში ბიძინას ხელი ურევია, საქართველოში ეს ბევრს არ სჯერა, მაგრამ ვისაც სჯერა, ისინი გაგვატარეთ, – აღნიშნა ხაბეიშვილმა.

ამ ამბავში ბიძინა ივანიშვილის აჩრდილს ხედავს „ევროპული საქართველოს“ წევრი დავით ჟღენტიც.

მისი თქმით, ჯოხაძე იყო ერთ-ერთი, ვინც პროექტ პანორამა თბილისის განხორციელებას აპროტესტებდა.

– რამდენიმე დღის წინ წარმოდგენილი იყო პირი, რომელიც თბილისის მერის მიერ დაანონსებული იყო, რომ იყო კვალიფიციური, კომპეტენტური, საქმისადმი ერთგული, სამი დღის შემდეგ სულ სხვა კანდიდატი წარმოგვიდგინა. გვაინტერესებს, აღნიშნული ჩანაცვლება რისგან არის გამოწვეული,



– ამბობს დავით ჟღენტი.

ოპოზიციის ბრალდებებს არ იზიარებენ დედაქალაქის მერიაში. თბილისის მერის მოადგილის, ირაკლი ხმალაძის განმარტებით კი, ვახტანგ ჯოხაძის მირზიკაშვილით ჩანაცვლების მიზეზი ჯოხაძის კერძო სექტორთან ურთიერთობა და კავშირი იყო.

❖ ❖ ❖

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის წინააღმდეგ პროკურატურაში განცხადება შეიტანეს. სარჩელი საგამოძიებო უწყებას ლევან ხაბეიშვილმა აახლა.

ის პროკურატურისგან გიორგი ტყემალაძის მხრიდან სამსახურეობრივი გულგრილობის მუხლით გამოძიების დაწყებას ითხოვს.

მისი თქმით, გიორგი ტყემალაძემ კანონი დაარღვია, როცა ყველანაირი არგუმენტის გარეშე რიგგარეშე სხდომის დანიშვნაზე, სადაც მეტროსადგურ „ვარკეთილში“ მომხდარ შემთხვევაზე უნდა ემსჯელათ, უარი განაცხადა.

ნაციონალები იმასაც აპროტესტებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ოპოზიცია რიგგარეშე სხდომების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე იღებს.

– საქმე ეხება საკრებულოს დეპუტატების ხელფასებს, პრემიებს, დანამატების გაზრდას, როცა საქმე ეხება მათ პირად კეთილდღეობას, ბიძინა ივანიშვილს – ამ შემთხვევაში ისინი რიგგარეშე სხდომას ნიშნავენ ხოლმე. როცა საქმე ეხებოდა ვარკეთილის მეტროში ჭერის ჩამონგრევას და ჩვენ რიგგარეშე სხდომის დანიშვნას ვითხოვდით, საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ დაარღვია კანონი და მოგვწერა უარი ჩვენს განცხადებაზე.

შესაბამისად, ეს არის თანამდებობრივი გულგრილობა, რომელიც 342-ე მუხლით ისჯება სამი წლის ვადით პატიმრობით. ამიტომ პროკურატურამ უნდა გამოიძიოს, იყო თუ არა სამსახურებრივი გულგრილობა, რომელიც გამოიჩინა გიორგი ტყემალაძემ მაშინ, როცა ჩვენმა ფრაქციამ მიმართა რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნისთვის, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# „იგეგმება ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანება“

მარიამ მჭედლიშვილი




რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ, ყოფილ პოლიტპატიმარ ლევან ჩაჩუას.

***– ბოლო დროს გახშირდა იმ პოლიტიკოსების კრიტიკა, რომლებიც დიდი ხანია, ამ სფეროში საქმიანობენ. მათ პარტიებს „ნულოვანს“ და „ორკაციანს“ უწოდებენ. ამ პოლიტიკურ ლიდერებს ადანაშაულებენ ფულის კეთებაში, ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში. ეს ახლა გახდა აქტუალური?***

– ამ კრიტიკოსებს მეც ვეთანხმები და ხალხიც. პოლიტიკას შემორჩნენ ოდიოზური სახეები, რომლებსაც ქვეყნისთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ. ისინი ამა თუ იმ ფორმით იყვნენ წარმოდგენილი ცენტრალურ თუ ადგილობრივ მმართველობაში. ეს პოლიტიკოსები ხან ხელისუფლებაში არიან, ხან – ოპოზიციაში. მათმა დაპირებებმა ჩაილურის წყალი არაერთხელ დალია. საზოგადოებას ეს პოლიტიკანები ყელში აქვს ამოსული და მათ დანახვას ტელევიზორშიც ვერ იტანს.

საქართველოს პოლიტიკური ველი დაჭაობებული ეშმაკის ბორბალია, სადაც ერთი და იგივე ყავლგასული კორუმპირებული სახეები სხედან. ზოგი მათგანი ბიუჯეტიდანაც ფინანსდება, არჩევნების წინ კი უფასო აგიტაციის საშუალებას იღებს. ახალ ძალებს, რომლებიც გასვრილი და კორუმპირებული არ არიან, პოლიტიკაში არ აჭაჭანებენ. ძველი უსინდისო ლიდერები მზად არიან, გაყიდონ სამშობლო. მაგალითად, ბოლო დროს ისინი მზად არიან, ნატოს წევრობაზე გაცვალონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

***– ტერიტორიულ მთლიანობას მოგვიანებით დავუბრუნდეთ. ძველი „ორკაციანი“ პარტიების წინააღმდეგ დაწყებული კამპანია რაიმეს მომასწავებელია?***

– შესაძლებელია, ვიღაცას უნდოდეს, რომ ეს დრომოჭმული. ოპოზიცია აბსოლუტურად მართული პოლუსით ჩაანაცვლოს. პოლიტიკური ველი გადასახალისებელია, მაგრამ ამ გზით არა. წინა წლებში ქართულ პოლიტიკაში ბევრი პროცესი გარედან იმართებოდა. უცხოეთი ისე ალაგებდა ფიგურებს, როგორც ჭადრაკის დაფაზე. თუ ახალი სატელიტის შექმნა უნდათ, ამ სატელიტს დიდი წარმატება არ უნდა ჰქონდეს. ხალხი ამას აღარ ჭამს.

***– რატომ გგონიათ, რომ ხალხი აღარ მოტყუვდება?***

– საზოგადოებამ გამოცდილება შეიძინა. მას პოლიტიკოსებმა მრავალჯერ გაუცრუეს იმედი. ძველ ოდიოზურ სახეებს რომ ნახავენ ადამიანები ახალ გაერთიანებაში, იმას მხარს რატომ დაუჭერენ?

***– ადრე დაშლილი ნაციონალების ერთად შეკრებას ვარაუდობდით.***

– ამაზე ადგილობრივი არჩევნების წინაც მისაუბრია. საფრთხე არ მოხსნილა. იგეგმება ნაციონალების ყველა განშტოების, რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების გაერთიანება. ისინი დაირქმევენ ახალ ლამაზ სახელს. სავსებით მოსალოდნელია, რომ ისინი ხელისუფლებაშიც მოვიდნენ. ბიძინა ივანიშვილი ორი ვადითაა მოსული და „ქართული ოცნება“ ესტაფეტას ამ ძალას გადასცემს, თუ საზოგადოებამ ყური არ შეიბერტყა.

***– საზოგადოება თავის უკმაყოფილებას „ორკაციანი“ პარტიების მიმართაც გამოხატავს და „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის მიმართაც.***

– ეს უკმაყოფილება არჩევნებზე არმისვლით გამოიხატება. გაუსვრელი, პატრიოტი ადამიანები უნდა გაერთიანდნენ და იაქტიურონ. ისინი პოლიტიკაში უნდა მოვიდნენ. „ქართულ იდეაში“ ვმუშაობთ ასეთი ხალხის შეკრებაზე.

ჩვენ პრეზიდენტობის კანდიდატად საერთო-სახალხო კანდიდატი უნდა შევარჩიოთ. პარლამენტში უნდა იყვნენ ხალხის რჩეულები და არა – საკუთარი ბიზნესის მფარველები და ქვეყნის მოწინააღმდეგეები, როგორც ახლა ხდება. პატიოსანი კანონმდებლები ქვეყანას მიხედავენ და ხელს შეუწყობენ იმ თანამემამულეების დაბრუნებას, რომლებიც ლუკმაპურისთვის გაიქცნენ უცხოეთში, რათა აქ დარჩენილ ოჯახებს ესულდგმულათ. თუ ბევრნი ვიქნებით, ანგარიშს გაგვიწევენ.

***– ნატოში გაწევრიანება ახსენეთ. იდეა იმის თაობაზე, რომ საქართველო ნატოში უნდა შევიდეს ისე, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არ ამოქმედდება ნატოს წესდების მეხუთე მუხლი, ახალი არ არის.***

– მართალია. ამაზე ინტენსიურად დაიწყო ლაპარაკი მაშინ, როცა თავდაცვის მინისტრის პოსტი თინა ხიდაშელს ეკავა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ამ კონტექსტში საუბარი უადგილოა. ჩვენ ასე ამ მიწებს დავკარგავთ. საბერძნეთი და თურქეთი ნატოს წევრები არიან, მაგრამ კვიპროსის სადავო საკითხი აქამდე ვერ მოგვარდა. ნატოს წევრი გერმანია მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა, მაგრამ ვერ იბრუნებს იმ გერმანულ ტერიტორიას, რომელსაც რუსეთმა კალინინგრადი დაარქვა. უსუსური ხელისუფლება ვერც ნატოს წევრობით დაიბრუნებს ოკუპირებულ რეგიონებს და ვერც – ნატოს გარეშე. ჩვენ გვერდით ისეთი პროცესები ვითარდება, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესების დამცველი მმართველები ამას სასიკეთოდ გამოიყენებდნენ.

***– ახლო აღმოსავლეთში ბევრი ომი ერთად მიმდინარეობს. რას გულისხმობთ?***

– შეიძლება მალე შეიქმნას ქურთისტანის სახელმწიფო და თურქეთი დაიშალოს. ეს გვაძლევს ტაო-კლარჯეთის დაბრუნების შანსს.

***– ეს ტერიტორია გაეროს არ უცვნია საქართველოს ნაწილად და როგორ დავიბრუნებთ? აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვერ აღგვიდგენია ტერიტორიული მთლიანობა.***

– პატრიოტული ხელისუფლება, პირველ რიგში, ამაზე იზრუნებდა. თურქეთის მიერ მიტაცებული მიწის საკითხის გადაწყვეტაც შეიძლება საერთაშორისო სამართლით 1921 წლის ერთა ლიგის დოკუმენტებისა და სხვა მასალების საფუძველზე. მთავარია, პარლამენტი, პრეზიდენტი გამოხატავდნენ ხალხის ნებას. ხელისუფლების ახლანდელი საკანონმდებლო შტო ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო არ არის.

თუ ნაციონალების გარშემო შექმნილი გაერთიანება მოვიდა ხელისუფლებაში, გაგრძელდება ლიბერალური ინტერნაციონალის შეკვეთების შესრულება, ხალხის გაღატაკება და ქვეყნიდან გადინება. საქართველოში ბოლო დროს დასახლებული უცხოელები ნაციონალებისა და მათი დამქაშების ამომრჩევლები არიან. სააკაშვილი სწორედ იმიტომ ურიგებდა მოქალაქეობას უცხოელებს, რომ იცოდა, მას საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ აირჩევდა. ამჟამად ეს პროცესი გრძელდება და თუ არ გავერთიანდით, საქართველოს სახელმწიფოებრიობას წერტილი დაესმება.

---

ნონა ცაბაძე

# კახა კუკავა: „ხელისუფლებისთვის თავისუფალი მედია მთავარი მოკავშირეა“

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

***– ბატონო კახა, ბოლო დღეებია გვესმის შეფასებები, რომ ხელისუფლება თავისუფალ მედიას უტევს. პრემიერი ამას უარყოფს. რას იტყვით თქვენ?***

– მე ცოტა განსხვავებული მოსაზრება მაქვს. თავისუფალი მედია არის, მაგალითად, გაზეთი „ახალი თაობა“. რაც შეეხება იმას, ვინც თავის თავს თავისუფალ მედიას უწოდებს, სინამდვილეში, ტერმინი რომ ზუსტად ვიხმაროთ, არის ლიბერალური მედია, რომელიც სულაც არ არის თავისუფალი.

***– ეს რას ნიშნავს?***

– შეიძლება კონკრეტულად კვირიკაშვილისგან არიან დამოუკიდებლები, მაგრამ რომ გითხრათ, რომ იქ განსხვავებული მოსაზრება თავისუფლად გადის, ესეც არ არის. საქართველოს პრობლემა არის ის, რომ ჩვენ, ყველა ცენტრალური არხი, გაზეთების უმრავლესობა, საინფორმაციო სააგენტოები, ეს არის ერთი ჰოლდინგი, ეს არის ერთი დიდი ლიბერალური მედია ჰოლდინგი, რომელთა შორის განსხვავება ძალიან პირობითია. ზოგად პოლიტიკურ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ ზუსტად ერთნაირი მიდგომა აქვთ.

ჩემი აზრით, პრობლემა ისაა, რომ უნდა გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი ქართველი, მეცენატი თუ მეწარმე, რომელიც არალიბერალურ, ქართულ ეროვნულ არხს დააფუძნებს. საქართველოში ერთი ლიბერალური არხით მეტი იქნება თუ ნაკლები, არ მაღელვებს.

***– გამორიცხავთ ზეწოლის ნიშნებს, თუნდაც კონკრეტულად ტელეკომპანია იბერიაზე?***

– რასაც საჯაროდ არ ამბობენ, იმაზე საუბარი რთულია. ზეწოლა ვიცი მე, როდესაც ძირს ვეგდეთ და ტყვიებს გვიშენდნენ ტელეკომპანია იმედში. ახლა, როცა თვითონ ჟურნალისტები ერიდებიან რაღაცაზე საუბარს, მერე ერთ დღეს ამბობენ, მეორე დღეს არ ამბობენ. ან ჟურნალისტი ამბობს და დამფუძნებელი უარყოფს, როგორც ამ კონკრეტული არხის შემთხვევაში ხდება, რა გითხრათ, აბა.

მე ვისურვებდი, რომ გამოსულიყვნენ, როგორც ტელეკომპანია იმედი აკეთებდა ამას, დამფუძნებელ-ჟურნალისტებიანად, ან როგორც რუსთავი 2 აკეთებდა და კონკრეტულად ეთქვათ, რაში გამოიხატება ეს ზეწოლა. მე პირადად მგონია, რომ უფრო მეტი პირდაპირობა იქნებოდა კარგი და გეტყვით, რატომ.

***– რატომ?***

– მაესტროს ნახევარბრძოლებმა ჩვენ ვნახეთ, რა შედეგიც გამოიღო. მაესტრო დღეს აღარ არსებობს. რაც შეეხება რუსთავი 2-ის მხრიდან რისკიან და გაბედულ ნაბიჯებს, მათ ამით ჯერ-ჯერობით საკუთარი თავი შეინარჩუნეს. აქედან გამომდინარე, მე ტელეკომპანია პირველსაც და ტელეკომპანია იბერიასაც ამ რჩევას მივცემდი, რომ ნახევარზომებით და კულუარული დიპლომატიით მხოლოდ წააგებენ. ღია შეტევა უნდა მიიტანონ ივანიშვილის კრიმინალურ ბანდაზე.

***– რას იტყვით საზოგადოებრივ მაუწყებელზე?***

– აი, ეს არის ყველაზე ანტისაზოგადოებრივი მაუწყებელი, სამარცხვინო! მე ახლა იმ ასაკში ვარ, რომ მახსოვს საბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივი მაუწყებლობაც კი, მისი ბოლო წლები, მახსოვს შევარდნაძის დროინდელი მაუწყებლობა, მერე სააკაშვილის დროინდელი, ცოტა ხანი ეროვნული ხელისუფლების დროსაც მაუწყებლობდა.

მინდა გითხრათ, რომ არასდროს ასეთი სამარცხვინო არ ყოფილა. რაც ბიძინა ივანიშვილმა გაუკეთა საზოგადოებრივ არხს, 9 აპრილის შემდეგ, რუსული ტანკები რომ იდგნენ თბილისში, მაშინაც კი არ ყოფილა პირველი არხი ასეთი სამარცხვინო. ჯაბა იოსელიანის და კიტოვანის დროსაც კი ისმოდა რაღაცა ოპოზიციური ნაფლეთები ამ არხზე.

***– დღეს რა ხდება?***

– ის, რაც დღეს ხდება ამ არხზე, ეს არის გულისამრევი სიტუაცია! მე მესმის, რომ იქ ხალხი მუშაობს და სამსახურის დატოვება არ შეუძლიათ, მაგრამ ამ არხიდან პროტესტი ყოველთვის ისმოდა და რამ დაადუმა ეს ჟურნალისტები ასე?!

იმას, რაც ხდება პირველ არხზე, ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს, ეს არის ტრეფიკინგი! როცა საქართველოს რამდენიმე ასეული მოქალაქე ხელფასით ჰყავთ გაჩუმებული და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჰყავთ ჩართული! ამ არხს არ ეშველა და არც ეშველება, ვიდრე არ იქნება ხელისუფლების ნება. ხელისუფლება კი ყველანაირად ცდილობს, ინფორმაცია დაუხშოს ქართულ საზოგადოებას. ხელისუფლების სათავეში უნდა მოვიდეს ისეთი მთავრობა, რომელსაც



არ ეშინია თავისუფალი ტელევიზიის. თავისუფალი სიტყვის.

***– ფიქრობთ, რომ ამ ხელისუფლებას თავისუფალი მედია აშინებს?***

– მთავრობას ეშინია, რომ ვიღაცა რაღაცას იტყვის და ცდილობს, თავის ხელში მოაქციოს ინფორმაციის კონტროლი. ყველამ იცის, რომ გაზეთებს ყიდულობენ, ტელევიზიებს ყიდულობენ, ჟურნალისტებს ყიდულობენ, ამაში ფულს იხდიან.

რაც უნდა ბანალურად ჟღერდეს, პირველ რიგში კრიტიკული მედია ხელისუფლებისთვის არის კარგი, რადგან ის ასრულებს დაახლოებით იმ ფუნქციას, რასაც ასრულებს აცრები პაციენტისთვის. სანამ პატარა სიმპტომები გაქვს, კრიტიკულ მედიას მანამდე შეუძლია დაგიცვას ამისგან. ხოლო თუ შენ კრიტიკული მედიის გეშინია და საკუთარ სამყაროში ხარ ჩაფლული, დაგემართება ის, რაც დაემართა სააკაშვილს, როცა გირგვლიანის მკვლელობას თვალს ვერ უსწორებდნენ და ბოლოს რეჟიმი დაემხო ამის გამო.

ხელისუფლებისთვის, რომელსაც არ უნდა, რომ შეცდომები დაუშვას, იყოს ჯანმრთელი და ჯანსაღი, თავისუფალი მედია არის მთავარი მოკავშირე.

***– თუმცა არიან დამოუკიდებელი ტელევიზიებიც, რომლებიც არ ჯდებიან ხელისუფლების ჩარჩოებში. ასე არ არის? თუნდაც იგივე იბერია, ტვ პირველი.***

– ვერ გეტყვით, რომ ტვ პირველი და იბერია მაინცდამაინც ხელისუფლების კურსის წინააღმდეგ მიდიან. აშკარად გამოხატული კურსის წინააღმდეგ ვინც მიდის, ეს არის რუსთავი 2, თუმცა რუსთავი 2-ც არ არის ხელისუფლებისთვის ნამდვილი ალტერნატივა. იმიტომ ვთქვი, რომ აუცილებელია ეროვნული არხი, რომელიც შექმნის სხვა ალტერნატივას, იმ რეალობას გაუხსნის ეთერს, რაც ქვეყანაშია.

***– დღევანდელი რეალობა არც ერთი ამ ტელევიზიიდან არ ჩანს?***

– დღეს ამას არც ერთი ტელეარხი არ აკეთებს. რაღაც თემები არის, რაც არ არის ტაბუირებული, მაგალითად, ტენდერი, საარჩევნო კოდექსი, მაგრამ არის უამრავი საკითხი, რომლებზეც ჩვენს საზოგადოებას აქვს სრულიად განსხვავებული მოსაზრება და რომელთაც ვერც ერთ ტელევიზიაში ვერ გაიგებთ.

***– მაგალითად, რა თემაზე?***

– მაგალითად, ჩამოვიდა ამერიკელი ექსპერტი საქართველოში, რომელიც ამბობს, რომ საქართველო ნატოში უნდა შევიდეს აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე. პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება მიმდინარეობს ახლა, ამ წუთებში ჩვენი ქართველი ერის ზურგს უკან! რომელი ტელევიზია აშუქებს ამას? არც ერთი! აი, რომ იყოს ეროვნული ტელევიზია, რომელიც ამას გააშუქებდა, სწორედ ის ტელევიზია იქნებოდა ნამდვილად ამ ხელისუფლების მესაფლავე.

***– ანუ არის თემები, რომელთაც ყველა ტელევიზია გვერდს უვლის?***

– რა თქმა უნდა! ამ ტელევიზიების უფროსები მეგობრობენ კონკრეტულ ჩინოვნიკებთან. ასე რომ, ხელისუფლება ყველგან ახერხებს სიტუაციის დალაგებას. არ მინდა გადავიმტერო ეს ტელევიზიები, მაგრამ ისიც მახსოვს, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მაგალითად, ადგილობრივ არჩევნებში, ყველა ტელევიზია, ვითომ ოპოზიციური და ლიბერალური არხები, ხელისუფლებას გვერდში დაუდგნენ! ზოგიერთმა იმაზე მაღალი ეგზიტპოლის შედეგი აჩვენა, ვიდრე ტელეკომპანია იმედმა.

# თენგიზ დიხამინჯია: „რევოლუცია გარდაუვალია“

გულიკო ბალაძე

ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, რომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მძაფრი რევოლუციური პროცესებია მოსალოდნელი.

***– ბატონო თენგიზ, საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას როგორ აფასებთ?***

– მრავალი პრობლემაა. მათ შორის, ყველაზე რთული მდგომარეობა სასამართლოშია, რაც არის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. სასამართლოში, საერთოდ, კატასტროფული მდგომარეობაა. ოცნება რომ მოვიდა, განაცხადა, სამართლიანობას აღადგენდა. ახლა სამართლიანობის აღდგენაზე აღარავინ ლაპარაკობს. ამ ყველაფერს ყავლი გაუვიდა.

***– მიგაჩნიათ, რომ სასამართლო კორპუსი შესაცვლელი იყო და ახალ ხელისუფლებას უნდა დაეთხოვა?***

– იუსტიციის საბჭოსა და მოსამართლეების არჩევის წესი უნდა შეცვლილიყო. პარალელურად, პროკურატურის, როგორც ზედამხედველის ფუნქცია, სამართლებრივად უნდა დახვეწილიყო. იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო ძალიან მკაფიო და ერთპარტიულ სისტემაზე ამაღლებული დანაშაულებრივი განცხადება იყო, როცა ითქვა, რომ მურუსიძე არის მსხვერპლი და, შესაბამისად, მას უნდა მივცეთ რეაბილიტაცია. ოცნების გასაგონად ვამბობ, რომ სასამართლო არ არის თვითგამოსყიდვისა და თვითგანახლების ორგანო.

***– დანაშაულის თვითგამოსყიდვის ორგანო?***

– რა თქმა უნდა. დანაშაულის თვითგამოსყიდვაზეა საუბარი, თორემ ისე, რელიგიაში ყველა ადამიანს აქვს ცოდვის თვითგამოსყიდვის უფლება.

***– მურუსიძეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო?***

– ზოგიერთის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დამდგარიყო, ზოგიერთს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა, როგორც მოხდა გერმანიაში ან კიდევ წარმატებულ ქვეყანაში სამხრეთ კორეაში, რომელმაც რეალურად ჩაატარა რეფორმები არა პარტიული ნიშნით, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

***– სააკაშვილმა ორჯერ დაითხოვა სასამართლო ხელისუფლება, მთელი კორპუსი, მაგრამ სამწუხაროდ, იგივე მივიღეთ. იქნებ პრობლემა მოსამართლეთა შემადგენლობის ცვლილებაში არ არის?***

– სააკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლო ნოტარიუსად გადააქცია, ანუ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური დირექტივების აღსრულების ცენტრი გახადა. ეს იყო ერთპარტიული დისციპლინის აღმასრულებელი ორგანო. ამ შემთხვევაში გადაირჩევ თუ გადმოირჩევ, მნიშვნელობა არ აქვს, სასამართლოს მიმართ მიუკერძოებელი მიდგომა უნდა იყოს. სასამართლო თვითონ „ვეფხისტყაოსანშიც“ იდეალურად არის განმარტებული: „ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. სამართლებრივი თეორია იდეალურად არის ჩამოყალიბებული და მისი აღსრულება უნდა იყოს უმთავრესი. სასამართლო მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს კომპეტენტური, სამართლიანი და მოუსყიდველი ადამიანების მეშვეობით, რომლებიც პოლიტიკურ კონიუნქტურაზე არიან ამაღლებული. ჩვენს შემთხვევაში სამივე იდეა არის იგნორირებული.

***– დღეს რა სტატუს კვოც გვაქვს სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, იქ რა შეიძლება გაკეთდეს? რაზეც თქვენ საუბრობთ, ადრე უნდა გაკეთებულიყო. დღეს უკვე მოსამართლეებს უვადოდ ნიშნავენ.***

– როდესაც ქვეყანა გაუმართავია, ინსტიტუტები დაუბალანსებელია და პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ დონეს პოლიტიკური მოქმედი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს, იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაული და თავი ვერ გაართვა სისტემის მართვას, რეგულაციას, წინსვლასა და სრულყოფას, ის ყოველთვის მოინდომებს ამ ორგანოს უზურპაციას, როგორც „ოცნებამ“ და მისმა ხილულმა თუ უხილავმა ლიდერებმა მოახდინეს.

***– უზურპაცია რაში გამოიხატება?***

– აბსოლუტურად ყველაფერში. ხელისუფლება მოვიდა სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით, მაგრამ ახლა თვითონაც არ სჯერა, რომ, ეს შესაძლებელია და სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგი უკან წაიღო.

***– სამართლიანობის აღდგენის კუთხით, წინა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულობების გამოძიების თვალსაზრისით, გარკვეული მოქმედებები ხორციელდება და სასამართლო პროცესები მიმდინარეობს. ზოგი უკვე ჩატარდა, თქვენ რატომ ამბობთ, რომ ამ კუთხით არაფერი კეთდება, სამართლიანობის აღდგენის არსებული ტემპი საკმარისი არ არის?***

– მაინც უნდა დავუფასოთ, რომ წინა რეჟიმისაგან განსხვავებით, გარკვეული ეპიზოდები სასამართლო ხელისუფლებაში არის, რომელიც მისაღებია. მე არ ვუკარგავ ცალკეულ ადამიანებს ეპიზოდურ გამარჯვებებს, რაც არის მართლმსაჯულებაში, მაგრამ მათი გამარჯვებები არ არის სისტემური. სასამართლოს სისტემური ძირფესვიანი ცვლილება არ მოხდა. ფაქტობრივად, დღევანდელი ხელისუფლება მიშა სააკაშვილის სისტემის მძევალია და მისგან ვერ თავისუფლდება. ამას სჭირდება გარღვევა.

***– გარღვევა რა შემთხვევაში იქნება?***

– გარღვევა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ერთპარტიულ სისტემაზე ამაღლდებიან და სამართლიანობას რეალურად დაამკვიდრებენ პროფესიონალური და კომპლექსური სახით.

***– ანუ სასამართლო ხელისუფლებაში კომპლექსური ცვლილებებია განსახორციელებელი?***

– შესაცვლელია იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესი. ძალიან ღრმა რეფორმებია საჭირო პროკურატურაში. როდესაც პრემიერ-მინისტრს მძიმე სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალს სდებენ, არ შეიძლება ამას იძიებდეს მისი ხელქვეითი პროკურორი.

***– რა ბრალდებას გულისხმობთ?***

– პრემიერ-მინისტრსა და ვიცე-პრემიერ ქუმსიშვილს რაღაც ბრალდება ხომ წაუყენეს. მაგალითად, ტრამპზე საქმე რომ არის აღძრული და მას სპეციალური პროკურორი იძიებს.

***– ანუ ასეთ საქმეებს სპეციალური პროკურორი უნდა იძიებდეს, რომელსაც პარლამენტი დანიშნავს?***

– ან პარლამენტის მიერ უნდა იყოს დანიშნული, ან პრეზიდენტის მიერ, ან კიდევ ნდობის დიდი ჯგუფის მიერ, რომლის გულწრფელობაში, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობაში ეჭვი არავის შეეპარება. კითხვის ნიშნები არ უნდა დაიბადოს. აქ კითხვის ნიშნების მთელი დასტაა. ასეთ პირობებში ვერც ერთი ხელისუფლება თავის ფუნქციას ვერ შეასრულებს. იუსტიციის საბჭოში ანა დოლიძე და კიდევ ერთი თავისუფალი წევრი ვერ აიტანეს და ლამის ჯვაროსნული ომი მოუწყვეს.

***– მოსამართლეთა კორპუსი შედგება კლანებისგანო, ასეთი შეფასება მოვისმინე. ასეთი რამ შეიძლება? შეიძლება სასამართლო კორპუსი კლანებად იყოს დაყოფილი?***

– სასამართლო ხელისუფლებაში თავიდან ბოლომდე კლანური სისტემაა. დანაშაულებებში მხილებული ადამიანები, რომლებიც ვაზაგაშვილის, რობაქიძის მკვლელობების, ქონებაჩამორთმეული ადამიანების თუ სხვა უსამართლოდ გასამართლებულების საქმეების მოსამართლეები დღესაც მოქმედი მოსამართლეებია. ასეულობით ასეთი საქმეა.



## „ჯერ არ ჩანს ძალა, რომელიც ხელისუფლებას არჩევნებით შეცვლის“

ეს ადამიანები ისევ ხელს ითბობენ და დღესაც კოლექტიურ მურუსიძეებად გვევლინებიან. ამას ლოკალური და ფრაგმენტული სახე რომ ჰქონდეს, აიტანდა კაცი. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ასეთი მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებულ ადმინისტრაციას, ხილულ თუ უხილავ პერსონებს დანაშაული აქვთ ჩადენილი და არა მარტო უკვე ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის განეიტრალება კი არ აინტერესებთ, არამედ მომავალშიც რომ ჩაიდენენ, ამ კლანისაგან იმის გარანტია უნდათ, რომ ის იქნება ხელშეუხებელი. ეს არის ყველაზე საშიში და ქვეყნის დამანგრეველი.

***– ამბობთ, სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე პროცესები ქვეყნისთვის საშიში და დამანგრეველიაო, თუ ასეა, რატომ არ გამოჩნდა სერიოზული ჯგუფი, რომელიც ამგვარ დანაშაულებებში ეჭვმიტანილი მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას ხელს შეუშლიდა, საზოგადოების მობილიზაციით ამ პროცესის შეჩერებას მოახდენდა?***

– საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ტელევიზიით გამოვიდნენ ან აქცია მოაწყონ. ასეთი ღონისძიებები იყო, მაგრამ ჩვენ არ გვყავს შეკრული და მონოლითური გუნდი, ბირთვი, საიდანაც შეიძლება დაიბადოს სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახები, რომელიც ერის ნების წამმართველი იქნება და მას ანგარიშს გაუწევს მთავრობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სამოქალაქო საზოგადოება არ გვყავს.

***– გახსოვთ ალბათ, მოსამართლეებმა როგორ შანტაჟს მიმართეს, როცა გაჩნდა რეფორმის ნიშნები და მათ კეთილდღეობას საფრთხე დაემუქრა. შეიკრიბნენ და განაცხადეს, რომ სასამართლო პროცესებზე არ შევიდოდნენ, ფაქტობრივად, სასამართლო ხელისუფლების პარალიზებით იმუქრებოდნენ. ეს ხელისუფლების შანტაჟი ხომ არ იყო?***

– კი, ხელისუფლება ნამდვილად დააშანტაჟეს და შედეგიც მიიღეს. აქ, ხელი ხელს ბანს პრინციპი მოქმედებს ხელისუფლებასა და მოსამართლეებს შორის. სასამართლო, როგორც ზეპარტიული და მიუკერძოებელი ორგანო, სახელმწიფოს ქვაკუთხედი უნდა იყოს.

***– თუმცა, საზოგადოებაც არ არის მობილიზებული დამნაშავე მოსამართლეების წინააღმდეგ და სასამართლოს პოლიტიკური ელიტა შანტაჟის რეჟიმში ჰყავს, რა შეიძლება გაკეთდეს?***

– ამ კუთხით ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, პროცესები კიდევ უკან წავა, რასაც მძიმე და დამაფიქრებელი შედეგები მოჰყვება.

***– უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებს რაღა ეშველება?***

– რაღა უნდა ეშველოს, როდესაც ხელისუფლებას, ფაქტობრივად, უზურპირებული აქვს ყველა შტო.

***– მთლად ასე რომ არ ჩანს?***

– არ ჩანს, მაგრამ პოლიტიკური სისტემის, ვითარებისა და კლიმატის შეცვლის არანაირი შანსი არ არის. ჩვენ რომ ვიმყოფებით, ასეთი მდგომარეობის განმუხტვის ერთადერთი საშუალება ცივილიზებულ ქვეყნებში ვადამდელი არჩევნებია. არსებული ვითარება თუ არ შეიცვალა, კატასტროფულ შედეგებს მოიტანს, რადგან ყველაფერი მოშლილია. ეკონომიკა და ფინანსები და საგარეო პოლიტიკა დაუბალანსებელია, საზღვრები მორღვეულია, საზღვრები დემარკირებული მხოლოდ ერთ ქვეყანასთან გვაქვს, ჯარის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. გარშემო უმძიმესი ვითარებაა, ოკუპირებული ტერიტორიები, ინსტიტუციური ბაკქანალიები, ყველაფერი ეს საკმარისია რამდენიმე ქვეყნისთვის. ამ შემთხვევაში ვითარებას მხოლოდ არჩევნები განმუხტავს.

***– ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ჩანს ძალა, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს?***

– ასეთი ძალა, ჯერჯერობით, არ ჩანს. ახლა არჩევნები რომ ჩატარდეს, გარდამავალი პერიოდის მთავრობა უნდა იყოს.

***– რევოლუციური პროცესები მოსალოდნელია?***

– ამ გზით პროცესები სრულდება ან თვითგანადგურებითა და სახელმწიფო ინსტიტუტების სრული პარალიზებით ან რევოლუციური სცენარით.

# გერმანიიდან საქართველოს 65 მოქალაქე გამოაძევეს

გერმანიიდან საქართველოს 65 მოქალაქე გამოაძევეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გერმანიაში საქართველოს საკონსულოში განუცხადეს, ქვეყანა დაატოვებინეს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის პირობები ჰქონდათ დარღვეული.

– გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან განხორციელდა მორიგი რეადმისია, უკან გამოაბრუნეს საქართველოს 65 მოქალაქე, რომლებმაც დაარღვიეს ევროკავშირის სივრცეში ყოფნის სავიზო რეჟიმი, – განაცხადეს საკონსულოში.

გერმანიიდან საქართველოს მოქალაქეების გამოძევების შესახებ სოციალურ ქსელში ინფორმაციას თავად გერმანიაში მცხოვრები ქართველებიც ავრცელებენ. მათი განცხადებით, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეადმისიას დაექვემდებარნენ, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიასა და ბადენ-ბიურტემბერგში ცხოვრობდნენ.



– წუხელ რთული ღამე იყო გერმანიაში ქართველებისთვის, – წერს გერმანიაში მცხოვრები საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე.

მათივე ინფორმაციით, „უამრავი საქმეა ჩანიშნული ადმინისტრაციულ სასამართლოში და ყველა საქმე სწრაფი ტემპით წყდება“.

# რომან გოცირიძე: „საუბარი, რომ სიგარეტი ვერ გავყიდე და ტელევიზია დაიხურება, არაა სწორი“

რომან გოცირიძე ფიქრობს, რომ ტელეკომანია „იბერიის“ გარშემო განვითარებულ პროცესებზე ნეიტრალური და ობიექტური მოკვლევა უნდა ჩატარდეს. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ საზოგადოება ხელისუფლებას ყველაზე მეტად მედიასთან მიმართებით არ ენდობა:

– ნებისმიერი საქმე, რომელიც მედიასაშუალებებს ეხება, ობიექტურად შეფასებული უნდა იყოს და მაუწყებლების წარმომადგენლებს უნდა მოვუსმინოთ. ნეიტრალური და ობიექტური გამოძიება უნდა ჩატარდეს, ბიზნესზე რაიმე ტიპის ზეწოლა რაღაც მიზნით ხდება თუ მედიამაუწყებლის გაჩერებისთვის. საუბარი იმის შესახებ, რომ სიგარეტი ვერ გავყიდე და ტელევიზია დაიხურება, არც ესაა სწორი. საჭიროა, ობიექტური შესწავლა, რათა მედია სახელმწიფოს ზემოქმედებისგან დაცული უნდა იყოს, – განაცხადა გოცირიძემ.



# 10 წლის ბიჭი ხაშურიდან თბილისში ზოოპარკის სანახავად გაიპარა




პატრულის თანამშრომლებმა თბილისში 10 წლის დაკარგული ბავშვი იპოვეს. როგორც გაირკვა, გიორგი ნოზაძე ხაშურიდანაა, რომელსაც თბილისის ზოოპარკის ნახვა უნდოდა, ამისთვის სახლიდან გამოიპარა, მატარებელს გამოყვა და თბილისში ჩამოვიდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ქუჩაში მარტო მიმავალი ბავშვი პატრულის თანამშრომლებმა შეამჩნიეს და ვინაობის გარკვევის შემდეგ სახლში დააბრუნეს.

სავარაუდოდ, ბიჭმა ზოოპარკის ნახვა ვერ შეძლო, რადგან ის ღამით დაკეტილია.

# საქართველოს ეკონომიკის ნახევარზე მეტი ჩრდილშია



„საერთაშორისო სავალუტო ფონდის" კვლევის თანახმად, საქართველოს ეკონომიკის 53% ჩრდილოვან სექტორშია.

მარიამ ლაშხის შეფასებით, ეს საგანგაშო მაჩვენებელია. მისივე თქმით, ჩრდილოვანი ეკონომიკა ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და ასეთი მაჩვენებლით საქართველო შესაძლოა ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველი ქვეყანა გახდეს. აგრეთვე შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს ბიზნესგარემოს გამჭვირვალობის საკითხი.

– ძირითად ასეთ არაფორმალურ ეკონომიკაში დომინირებს მომსახურების სფერო, საყოფაცხოვრებო ან სატრანსპორტო მომსახურება. მაგალითად, ტაქსისტების ყოველთვიური შემოსავლის 20 პროცენტი ბიუჯეტში არც აკუმულირდება და არც ზუსტი მონაცემები გადაეცემა შემოსავლების სამსახურს ცნობისთვის. მსგავსი მაგალითები ბაზარზე არაერთია, – აცხადებს ლაშხი.

სახელმწიფომ აღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა მოაგვაროს. კერძოდ, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომ ფარული ეკონომიკა გამოაშკარავდეს და მოხდეს მისი აღრიცხვიანობა, თუმცა ეს შეიძლება აუცილებლად გადასახადების დაწესებას არ გულისხმობდეს, საუბარია საქმიანობის დეკლარირებაზე.

მოცემული კვლევა ეფუძნება 1991-2015 წლების შედეგებს, რომლის მიხედვითაც 2010 წლამდე ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში 64 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად ტენდენცია კლებადია, თუმცა ვითარება მაინც არასახარბიელოა.

– საქსტატის მონაცემებით, დღეს საშუალო შემოსავალი ქვეყანაში 940 ლარია, თუმცა უამრავი ოჯახს მსგავსი შემოსავალი არ აქვს, ამიტომ მათთვის საშემოსავლო გადასახადი დამატებითი ტვირთია. უნდა შეიქმნას მაკონტროლებელი ორგანოც, რათა პროცესები იყოს გამჭვირვალე, – აღნიშნავს მარიამ ლაშხი და დასძენს, რომ ბოლო წლებში, სავალუტო ფონდის დაკვირვებით, ფარული ეკონომიკის წილი საქართველოში მუდმივად მცირდება, საჭიროა ამ ტრენდის როგორც შენარჩუნება, ასევე გაძლიერებაც.

სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის ინიციატივას იზიარებს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძეც. მისი თქმით, ამ შემთხვევაში შემოსავლებისა და აუდიტის სამსახურმა თავისი მოვალეობა უკეთესად უნდა შეასრულონ.

– მაგალითად, ერთ წელში რეგისტრაცია გაიარა დაახლოებით 50 ათასამდე სამეურნეო სუბიექტმა. არადა, ისინი რომ ნამდვილად არსებობდნენ, დასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა. ამიტომ, შესაბამისმა უწყებებმა უკეთესად უნდა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის შედეგებს, ციფრები ოდნავ გადაჭარბებული მგონია, თუმცა მდგომარეობა, ყველა ვითარებაში, არასახარბიელოა, – აღნიშნავს არჩვაძე.

მისივე თქმით, საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკა 53%-ის ნაცვლად, 20-25% რომც იყოს, ვითარება მაინც არ არის თავისუფალი ბიზნესგარემოს შესაბამისი.

– ფონდის კვლევის შედეგები შეიძლება ზუსტი არ იყოს და შავი ეკონომიკა შეადგენდეს რეალურად შექმნილი დამატებითი ღირებულების 20-25%-ს. შედარებისთვის, ამერიკაში ეს მაჩვენებელი არის 3 ან 8%, გააჩნია დათვლის მექანიზმს, – განმარტავს სტატისტიკოსი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1991-2015 წელს, 158 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთო მოცულობა 31,9%-ია. 2015 წლის მონაცემები რეგიონში ასე გამოიყურება: თურქეთი – 31.38%, რუსეთი – 38.42%, სომხეთი – 42.59%, აზერბაიჯანი – 52.19%, საქართველო – 53,07%.

# ფინანსთა მინისტრი ბიზნესისთვის 6 ახალი ინიციატივით გამოდის



საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონპროექტი მზადდება, რომელიც 6 ახალ ინიციატივას მოიცავს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძის განმარტებით, ახალი საგადასახადო ინიციატივის ფარგლებში, რომლის მიზანია მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, იცვლება დაბეგვრასთან დაკავშირებული რეგულაციები.

ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციები, ფაქტობრივად, გათავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან.

უქმდება გრძელვადიანი კონტრაქტის დღგ-ითი დაბეგვრის სპეციალური ნორმები.

დღგ-სგან გათავისუფლდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.

საქართველოდან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის წახალისების მიზნით, იმპორტიორს უფლება ეძლევა, დადგენილი წესით დაიბრუნოს მსუბუქ ავტომობილსა და მოტოციკლზე გადახდილი აქციზის 100%-ის ოდენობა.

სრულად გათავისუფლდება აქციზისაგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პირადი გამოყენებისათვის იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებები.

რაც შეეხება საფინანსო სექტორს, ბანკების, საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციების, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისათვის გადასახადების ახალ, ესტონურ მოდელზე გადასვლა 2023 წლის 1 იანვრამდე გადავადდა.

დაბეგვრის ესტონური მოდელი საქართველოში 2017 წელს ამოქმედდა.

# „მშენებლობებზე გაზრდილი ჯარიმები კორუფციის რისკს აჩენს"



სამშენებლო სფეროში რეგულირებისა და სანქციების გამკაცრება კორუფციის რისკებს აჩენს. ამის შესახებ მენაშენეთა ასოციაციის წარმომადგენელმა, კომპანია „არსის" ფინანსურმა მენეჯერმა თორნიკე აბულაძემ განაცხადა.

– აქამდე უსაფრთხოების წესების დარღვევაზე ჯარიმა 3 ათასი ლარი იყო, ცვლილებებით კი 30 ათას ლარამდე იზრდება. ფაქტია, რომ მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფა ხდება და სწორედ ამიტომ გახდა საჭირო რეგულაციების გამკაცრება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ის აქსესუარები, რაც უსაფრთხოებისთვის არის საჭირო, ძვირადღირებულია და ხარჯი ერთჯერადად დაახლოებით 30-50 ათასი ლარის ფარგლებშია. ეს საკმაოდ დიდი ხარჯია და ყველა მშენებელს 3 ათას ლარიანი ჯარიმის გადახდა ერჩივნა. ეს ცვლილებები გამართლებულია თუ საბოლოო ჯამში სასურველ შედეგს მოგვცემს, მაგრამ თეორიულად კორუფციის რისკი არსებობს, – აღნიშნა აბულაძემ.

# „სახელმწიფო ქათმის ხორცის ადგილობრივ წარმოებას კლავს!"

საქართველოში ქათმის ხორცის წარმოების ბიზნესი ერთ-ერთი განვითარებული მიმართულებაა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მაინც დიდი რაოდენობით შემოდის ქათმის ხორც-პროდუქტები, თუმცა ქართველი მომხმარებელი მაინც ადგილობრივ პროდუქტს ანიჭებს უპირატესობას.



ადგილობრივ მწარმოებლებს მაინც ექმნებათ პრობლემა ბიზნესის განვითარების და გაფართოების თვალსაზრისით. ამის ერთ-ერთ მიზეზად წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები სახელდება. მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანი დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრაა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2017 წლის 24 აგვისტოდან სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ კანონით, განისაზღვრა სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის ვადა და საფასური. მათ შორისაა ფრინველის ხორცის ვეტერინარული შემოწმება, ფორმა №2. შესაბამისი დოკუმენტის გაცემა 1 ფრთა ქათამზე 5 თეთრით განისაზღვრა.

ამ ცვლილებას ადგილობრივი მწარმოებლების აღშფოთება მოჰყვა, რომელთა განცხადებითაც ასეთი პრეცედენტი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ, ზოგიერთმა კომპანიამ ფასი გაზარდა, ზოგმა პროდუქციის წარმოება შეამცირა, ზოგს კი დროებით წარმოების შეჩერებაც მოუწია, მაგალითად, კომპანია „კოდას".

ზოგიერთმა კომპანიამ, მაგალითად, „კუმისმა", ქათმის ხორცის წარმოება შეწყვიტა და გადაერთო მხოლოდ კვერცხის ბიზნესზე.

კომპანია „ჩირინა", რომელმაც წარმოება 2013 წელს დაიწყო, აცხადებს, რომ შესწავლილი ჰქონდა ბაზრის კონიუნქტურა და სწორედ დღგ-სა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით დაადგინეს პროდუქციის ღირებულება.

– ჩვენ წარმოება დავიწყეთ 2013 წელს, როდესაც უკვე იბეგრებოდა ქათამი და კვერცხი. შესაბამისად, ვიცოდით არსებული სიტუაცია, თუმცა თავიდანვე ვითხოვდით, რომ დღგ მოეხსნათ. ეს მოთხოვნა განპირობებული იყო პირველ რიგში იმ მიზეზით, რომ იმ პროდუქციაზე, რომლებსაც დღგ ეკისრებათ, ფასიც მაღალია და, შესაბამისად, მსყიდველობითუნარიანობაც იკლებს, – ამბობს კომპანია „ჩირინას" დირექტორი რევაზ ვაშაკიძე.

საქართველოში იმაზე ბევრად ნაკლებ ქათმის ხორცს მოიხმარენ, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ქათმის ხორცისა და კვერცხის მოხმარების დონე ნორმაზე ნაკლებია.

– საშუალოდ, წლის განმავლობაში 28-32 კილოგრამი ქათმის ხორცი მაინც უნდა მოიხმაროს ადამიანმა, რაზეც ევროპის ქვეყნების სტატისტიკა მეტყველებს. საქართველოში კი ეს წილი დაბალია და დაახლოებით 12 კილოგრამს შეადგენს. ეს სხვაობა პირველ რიგში, ხელმისაწვდომობას შორის სხვაობით არის განპირობებული, – თვლის ვაშაკიძე.

# იანვარში კომერციულმა ბანკებმა 68,547 მლნ ლარის წმინდა მოგება მიიღეს




2018 წლის იანვარში, კომერციული ბანკების წმინდა მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,734 მილიონი ლარით გაიზარდა.

კერძოდ, წინა თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 68,547 მილიონი ლარი შეადგინა. 2016 წლის ნოემბერში კი აღნიშნული მაჩვენებელი 58,813 მილიონი ლარი იყო.

ამასთან, 2018 წლის იანვარში ბანკების შემოსავლებმა 303,834 მილიონი ლარი, ხოლო ხარჯებმა 229,315 მილიონი ლარი შეადგინა.

წინა თვეში კომერციული ბანკების მიერ ჯარიმა/საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა 6,312 მილიონი ლარი; საკონვერსიო ოპერაციებიდან, ანუ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგება/ზარალმა 27,342 მილიონი ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, იანვარში ბანკებმა 5,783 მილიონი ლარის მოგების გადასახადი გადაიხადეს.

გასულ წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 869,798 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 679,101 მილიონი იყო.

# მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა 1 თვეში 4,8 ათასით გაიზარდა

საქართველოში ქონების დაკარგვის კანდიდატთა რიცხვი ბოლო თვეების განმავლობაში სწრაფად იზრდება.

მხოლოდ 1 თვის განმავლობაში გადახდისუუნარო ადამიანების რაოდენობამ 4,8 ათასით მოიმატა.

თუ 2018 წლის 20 იანვრისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში 234.958 ჩანაწერი იყო, ახლა ეს რიცხვი 239.831-ს შეადგენს. შედეგად გამოდის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის 6,4% გადახდისუუნაროა, რაც საკმაოდ საგანგაშო მაჩვენებელია.

ზოგადად, მოვალეთა რეესტრის მონაცემები სწრაფად იცვლება, რადგან დავალიანების დაფარვის შემთხვევაში ბაზიდან პირის ამოღება ხდება. თუმცა ფაქტია, რომ ბოლო წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ეკონომისტების პოზიციით, მოვალეთა რეესტრში ჩანაწერების რაოდენობა მომავალშიც გაიზრდება. სპეციალისტები ამის მიზეზად ქვეყანაში დაბალ ეკონომიკურ აქტივობას უკავშირებენ, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად სამომხმარებლო კრედიტების გამარტივებას და მასზე დაწესებულ მაღალ საპროცენტო განაკვეთს ასახელებენ.




იმისათვის, რომ მდგომარეობა შეიცვალოს, მინიმუმ ეკონომიკურმა აქტივობამ უნდა მოიმატოს.

– საჭიროა, ადამიანს გაუჩნდეს ფული, რომ მან დავალიანება წლების წინ შეძენილი ქონების გასხვისებით არ დაფაროს, – ამბობენ ეკონომისტები.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომლის მიმართაც 2010 წლის 1 იანვრიდან იძულებითი სააღსრულებლო საქმის წარმოებაა.

აღსრულების ბიუროში განმარტავენ, რომ რეესტრში ყველა სახის დავალიანების შესახებ ინახება ინფორმაცია. მათ შორის, სამგზავრო ჯარიმების თაობაზეც.

# უცხოელები საქართველოში მიწის მხოლოდ 0,9%-ს ფლობენ

„მომავლის ფერმერის" ხელმძღვანელ რუსუდან გიგაშვილის განცხადებით, უცხოელები საქართველოში მიწის დაახლოებით 0,9%-ს ფლობენ, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

მისივე თქმით, სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%-ის ფარგლებში მერყეობს.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, რომ უცხოელებზე მიწის მიყიდვა არ უნდა მოხდეს, მაგრამ ხელისუფლებამ მათ ინვესტიციების განხორციელებისთვის ალტერნატიული გზები უნდა შესთავაზოს.

– თუ მიწას არ ვასხვისებთ, მაშინ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. ანუ მიწა, როგორც კაპიტალი, როგორც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ღირებულება, რითი უნდა დავტვირთოთ.

უცხოელი ინვესტორების მოზიდვისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ხედვა. მუდმივად შეშინება, რომ მე რაღაცას გიბლოკავ, ძალიან ცუდია, იმიტომ, რომ ისედაც არ არის ჩვენი ქვეყანა უცხოელებისთვის მიმზიდველი. ჩვენ ძალიან გვჭირდება, რომ უცხოური ინვესტიციები შემოვიდეს თავის ტექნოლოგიებით იმიტომ, რომ ვართ მცირემიწიანები, ვერ ვმსხვილდებით, – აცხადებს რუსუდან გიგაშვილი.



# ორბელიანის მოედანზე გარდაცვლილი კაცი იპოვეს




თბილისში, ორბელიანის მოედანზე, ქუჩაში გარდაცვლილი შუახნის კაცი იპოვეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მიწის ნაკვეთების უკანონოდ დაუფლების გამო 2 პირი დააკავეს



დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 2 პირი დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, 2 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაეუფლნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2.000 მ2 და 3.000 მ2 ფართობის მიწის ნაკვეთებს, რომელთა საბაზრო ღირებულება ჯამში 94.000 ლარს შეადგენს.

გამოძიების მიმდინარეობისას, ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანი, 36.000 ლარის ოდენობით, სრულად იქნა ანაზღაურებული.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9-წლამდე.

ამ ეტაპზე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# მარიამ კუბლაშვილი: „ყველაფერს ვაყენებ ეჭვქვეშ“



პროკურატურის მიერ ჩატარებულ ბალისტიკურ ექსპერტიზას თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატი უნდობლობას უცხადებს.

მარიამ კუბლაშვილი ვარაუდობს, რომ შემთხვევის ადგილიდან ცეცხლსასროლი იარაღს მასრა არ არის ამოღებული. ადვოკატის თქმით, ისინი აპირებენ თავის მხრივ ჩაატარონ იარაღზე ექსპერტიზა და ამისთვის უახლოეს დღეებში მტკიცებულებების გამოთხოვასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაყენებას აპირებს.

– პროკურატურის მიერ ჩატარებულ ბალისტიკურ ექსპერტიზას მე არ ვენდობი. მე ყველაფერს ვაყენებ ეჭვქვეშ, ამიტომაც მყავს მოწვეული ექსპერტი და ჩემი მთავარი მოთხოვნაა, ვინაიდან დღეს ჩვენ უკვე გავეცანით ექსპერტიზის პასუხს, გამოვითხოვოთ ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის მეშვეობითაც მოხდა გასროლა, მასრა და მასზე ჩაატარებს დამოუკიდებელ ექსპერტიზას ბატონი ზაზა ალთუნაშვილი, – აცხადებს მარიამ კუბლაშვილი.

# ძაღლის სასიკვდილოდ ცემისთვის ბრალდებული 500 ლარით დააჯარიმეს




ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

მოსამართლემ ბრალდებული ს.ზ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა განუსაზღვრა.

ს.ზ.-ს ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა ედებოდა ბრალად, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ბრალდებულმა გასული წლის ზაფხულში, რუსთავის ერთ-ერთ უბანში, ძაღლს ხის ჯოხით, რომელზეც დამაგრებული იყო ლითონის წვეტიანი დეტალი, მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობა გულმკერდის და მუცლის ღრუში, რასაც მისი სიკვდილი მოყვა.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

# ყოფილ „კიროვის ქარხანაში“ ხანძარი გაჩნდა



გუშინ დიდუბეში მდებარე ყოფილ „კიროვის ქარხანაში“ ხანძარი გაჩნდა.

ცეცხლის ქრობის პროცესი დაახლოებით 40 წუთი მიმდინარეობდა. ადგილიდან 100-მდე მუშის ევაკუაცია განხორციელდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

# კალათბურთის გარიგებულ მატჩებზე დაკავებულებთან საპროცესო შეთანხმება ფორმდება




კალათბურთის გარიგებული მატჩების საქმეზე ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმება ფორმდება. პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას ყველა ბრალდებულთან აფორმებს, თუმცა განსხვავებული პირობებით.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, 5 ბრალდებულიდან საპატიმრო სასჯელს მხოლოდ 3 მოიხდის. კერძოდ, საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია, ამავე კლუბის თანამფლობელი თემურ დათიკაშვილი და მსაჯი ზაზა მაჩალაძე 6-თვიან სასჯელს მოიხდიან, რის შემდეგაც მათ 1-წლიანი პირობითი მსჯავრი დაედებათ.

რაც შეეხება დარჩენილ ორ ბრალდებულს – ძმებ ირაკლი და დავით ბერიშვილებს, მათ მხოლოდ პირობითი მსჯავრი დაედებათ.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ ერთ-ერთი ბრალდებულის, ზაზა მაჩალაძის, ადვოკატმა დაუდასტურა. შოთა მანელიძის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა საპროცესო შეთანხმებას ხელი უკვე მოაწერა და ახლა ის სასამართლომ უნდა დაამტკიცოს.

– არის ეს მონახაზი. მივდივართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების დასრულებისკენ. საუბარია 6-თვიან რეალურ სასჯელზე, საიდანაც 2 თვე უკვე მოხდილი აქვს ზაზა მაჩალაძეს. ასევე დაეკისრება 5 ათას ლარიანი ჯარიმა და 1-წლიანი პირობითი მსჯავრი, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ შოთა მანელიძემ.

გარიგებული მატჩების საქმეზე კალათბურთის მსაჯები და საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ მწვრთნელები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა. საერთო ჯამში, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე აყვანილია 5 პირი. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ზაზა მაჩალაძე, ირაკლი ბერიშვილი და დავით ბერიშვილი, ასევე საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია და ამავე კლუბის თანამფლობელი თემურ დათიკაშვილი დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, რამდენიმე მატჩის ჩაწყობის შედეგად ბრალდებულებმა ჯამში 36 ათასი ლარი მიიღეს. დაკავებული 5 პირიდან 2-მა – ირაკლი და დავით ბერიშვილებმა ბრალი აღიარეს და გამოძიებასთან თანამშრომლობენ. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო, ხოლო დანარჩენ სამ ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდათ.

# მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულმა ბექა კირვალიძემ მშრალი შიმშილობა დაიწყო



მსახიობ დავით როსტომაშვილზე თავდასხმაში ერთ-ერთი ბრალდებული ბექა კირვალიძე შიმშილობს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კირვალიძის ადვოკატმა ლოტბერდ კუპატაძემ განუცხადა, კირვალიძემ შიმშილობა მის მიმართ წარდგენილი ბრალის გადაკვალიფიცირების მოთხოვნით დაიწყო.

კუპატაძის თქმით, ბრალდებულმა მშრალი შიმშილობა დაიწყო და საკვებთან ერთად, წყლის მიღებაზეც ამბობს უარს.

– მან საჩივარი გაუგზავნა მთავარ პროკურორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, უფლებადამცველებს, სახალხო დამცველს და მოსამართლეს, სადაც აღნიშნავს, რომ მისი დანაშაულებრივი ქმედება არასწორადაა დაკვალიფიცირებული ყაჩაღობით და მოითხოვს ბრალის შეცვლას. კერძოდ, რაშიც ცნობს თავს დამნაშავედ, მხოლოდ იმისთვის გაასამართლონ, მხოლოდ ცემაში და არა – ყაჩაღობაში.

ის არ ამბობს, რომ არაფერი არ ჩაუდენია, ის ამბობს, რომ მისი მხრიდან ყაჩაღობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ის მარტო იყო და მის შემდეგ ვინ მივიდა როსტომაშვილთან, ამაზე არაფერი არ იცის, – განაცხადა ლოტბერდ კუპატაძემ.

კირვალიძის ოჯახის წევრების ინფორმაციით, კირვალიძემ როსტომაშვილს შურისძიების მოტივით სცემა.

კირვალიძის დედის თქმით, დავით როსტომაშვილი, პენიტენციურ დაწესებულებაში მუშაობისას, მის შვილს, რომელიც სასჯელს სხვა დანაშაულისთვის იხდიდა, სისტემატურად სცემდა, რის გამოც ბექა კირვალიძემ მას სამაგიერო გადაუხადა.

# დეკანოზ მამალაძის ადვოკატები: „გაუთქმელობის ვალდებულებასთან დაკავშირებული ნორმები ბუნდოვანია“



– დაცვის მხარის გაუთქმელობის ვალდებულებასთან დაკავშირებული ნორმები ბუნდოვანია და არათანაბარ პირობებში აყენებს დაცვის მხარეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ციანიდის საქმის ადვოკატებმა განუცხადეს.

ადვოკატები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმას ასაჩივრებენ, რომელიც მხარეებს გამოძიების მიმდინარეობისას საქმის შესახებ მონაცემების გახმაურებას უკრძალავს.

მოსარჩელე მხარე აცხადებს, რომ მათ ამის გამო ვერ შეძლეს სრულყოფილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. ეს ყველაფერი კი, მათი თქმით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, მათ შორის, სამართლიანი დაცვისა და სამართლიანი სასამართლოების უფლებებს, დისკრიმინაციის აკრძალვასა და გამოხატვის თავისუფლებას.

დაკავებული დეკანოზის ადვოკატები განმარტავენ, რომ ბრალდების მხარეს ეს შეზღუდვა არ აქვს. სარჩელის ავტორები ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ სასამართლო სხდომის დახურვის წესს, ასევე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის შეზღუდვის უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა გიორგი ფანცულაიამ და მია ნოზაძემ მიმართეს და გაუთქმელობის ვალდებულების ნორმის შეცვლა მოითხოვეს.

# „ალექსანდრე მუხაძემ დამავალა სერგო თეთრაძეზე ძალადობის განხორციელება“




სერგო თეთრაძის წამების საქმეზე სასამართლოში წერილობითი მტკიცებულებების ფარგლებში, ერთ-ერთი პატიმრის, ოლეგ რამიშვილის, ჩვენება წაიკითხეს.

პატიმარი საგამოძიებო უწყებაში მიცემული ჩვენებისას იხსენებს, რომ ალექსანდრე მუხაძემ მას დავალება მისცა, რომ სერგო თეთრაძეზე განეხორციელებინა ძალადობა. პატიმრის ჩვენების თანახმად, როდესაც მან იკითხა, თუ ვისგან მოდიოდა დავალება, ალექსანდრე მუხაძემ განაცხადა, რომ ეს იყო უშუალოდ ბაჩო ახალაიას დავალება.

– ალექსანდრე მუხაძემ მაჩვენა ფოტოც და მითხრა, რომ ის კარანტინში იყო და მასთან „დამუშავების“ შემდეგ შემოიყვანდნენ, თუმცა როდესაც ალექსანდრე მუხაძე, ასევე ოლეგ ფაცაცია კარანტინში სერგო თეთრაძესთან შევიდნენ, მე მესმოდა ჩემ მოპირდაპირე საკნიდან ჩხუბის და გინების ხმა, რის შემდეგაც სერგო თეთრაძე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეორე დღეს, როდესაც ვიკითხე, თუ რატომ არ შემოიყვანეთ ჩემთან სერგო თეთრაძე-მეთქი, ოლეგ ფაცაციამ მითხრა, რომ ის საავადმყოფოში გულის შეტევით გარდაიცვალა, – განაცხადა პროკურორმა პატიმარ ოლეგ რამიშვილს ჩვენების წაკითხვისას.

## რუსეთმა სირიაში თავისი მოქალაქეების დაღუპვა აღიარა



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სირიაში თავისი მოქალაქეების დიდი ოდენობით დაღუპვის ფაქტი აღიარა.

ამის თაობაზე სამინისტრომ სპეციალური განცხადება გააკეთა.

– დაღუპულთა შორის არიან როგორც რუსეთის, ასევე დსთ-ს ქვეყნების მოქალაქენიც, – ნათქვამია განცხადებაში.

მანამდე რუსები ამტკიცებდნენ, რომ სირიაში მხოლოდ მათი 5 მოქალაქე დაიღუპა.

## ჟურნალისტმა ალი ფერუზმა გერმანიაში თავშესაფარი მიიღო



„ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტმა ალი ფერუზმა გერმანიაში თავშესაფარი მიიღო.

რუსეთში ის რამდენჯერმე დააპატიმრეს. ფერუზს სცემეს და აიძულებდნენ, ტერორისტებთან კავშირი ეღიარებინა.

– რუსეთში ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო მდევნიდნენ, ამიტომ იძულებული გავხდი, ეს ქვეყანა დამეტოვებინა, – თქვა ფერუზმა.

გერმანიამ ჟურნალისტს თავშესაფარი მიანიჭა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ტრამპი რუსების მიმართ ობამაზე უფრო მკაცრია



– აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აღიარებს, რომ რუსეთი არა მარტო ცდილობდა, არამედ ფაქტობრივად ჩაერია და გავლენა მოახდინა ამერიკაში 2016 წლის არჩევნებზე, – განაცხადა გუშინდელ ბრიფინგზე თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა.

– სრულებით ცხადია, რომ რუსეთი ჩაერია არჩევნებში. ასევე ცხადია, რომ ამას არჩევნებზე გავლენა არ მოუხდენია. ცხადია ისიც, რომ ტრამპის საარჩევნო შტაბსა და რუსებს შორის გარიგება არ ყოფილა, – აღნიშნა სანდერსმა.

– ერთი წლის მანძილზე რუსეთთან მიმართებაში ტრამპი უფრო მკაცრი გახდა, ვიდრე წინამორბედი პრეზიდენტი ბარაქ ობამა მთელი რვა წლის განმავლობაში, – განაცხადა სანდერსმა

კითხვაზე, თუ რატომ არ შემოიღო ტრამპმა სანქციები რუსეთთან მიმართებით, მისივე თქმით, სანქციები გარკვეული დარღვევების გამო წესდება, რაც არ მომხდარა.

## ასადის არმია აფრინში შევიდა



ასადის მომხრე სამხედრო ფორმირებები ქალაქ აფრინში შევიდნენ. როგორც ცნობილია, ამ ქალაქს ქურთი პარტიზანები აკონტროლებდნენ. სირიის ტელევიზიამ ასადის ჯარის ქალაქში შესვლას ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა.

– ჩვენი ჯარისკაცები ქალაქში თურქ აგრესორებთან საბრძოლველად შევიდნენ, – აცხადებს სირიის ტელევიზია.

თურქეთის არმიამ ასადის მხედრობას საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა. შედეგად ქალაქში არაერთი სახლი დაინგრა. ასადის ჯარისკაცებს შორის არის მსხვერპლი.

აფრინის პარალელურად მძიმე მდგომარეობა აღმოსავლეთ ჯუტაშიც შეიქმნა. ასადის ბრძანებით, ამ ქალაქის დაბომბვა დაიწყო.

გაეროს წარმომადგენლის დე მოსტურას აზრით, აღმოსავლეთ ჯუტა შესაძლოა ახალ ალეპოდ გადაიქცეს.

– საერთაშორისო საზოგადოებას მოვუწოდებ, რომ ეს არ დაუშვას, – ამბობს დე მოსტურა.

## კურტ ვოლკერი: „კიევისთვის ჯაველინის მიწოდება სამხედრო დახმარების ერთი ნაწილია“



ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს ჯაველინის კიევისთვის მიწოდება სამხედრო დახმარების მხოლოდ ერთი ნაწილია.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინის საკითხზე კურტ ვოლკერმა უკრაინული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, ბარაქ ობამას ადმინისტრაციის დროს კიევისთვის ლეტალური შეიარაღების მიწოდებაზე აკრძალვა მოქმედებდა.

– ტრამპის ადმინისტრაციამ ობამას პრეზიდენტობის დროინდელი ეს შეზღუდვა მოხსნა. ეს აფართოებს აშშ-ის შესაძლებლობებს უკრაინის მხარდაჭერის კუთხით. ჯაველინის კომპლექსი ამგვარი დახმარების მხოლოდ ერთი ნაწილია. საუბარია უფრო მნიშვნელოვან დახმარებაზე. ჩვენი მიზანია უკრაინის არმიის შეიარაღებაში ხარვეზების გამოსწორება, – აღნიშნა კურტ ვოლკერმა.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცწარმომადგენელმა განმარტა, შეიარაღების ნაწილს უკრაინას უსასყიდლოდ გადასცემენ.

## არასწორად გაჩერებული ავტომობილის პატრონს მანქანა სახურავზე დახვდა



ჩინეთში ავტომობილი, რომელიც არასწორად იყო გაჩერებული, სახლის სახურავზე აწიეს და იქ დატოვეს.

ინციდენტი ხუბეის პროვინციის სიშუის ოლქში მოხდა. მძღოლმა მანქანა ავტობუსების პარკის ტერიტორიაზე გააჩერა, რისი ნებართვაც მას არ ჰქონდა. პარკის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს დამრღვევისთვის ჭკუა ესწავლებინათ და ამწეკრანი გამოიძახეს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევს ასეთი სახით სჯიან. გასული წლის აგვისტოში საცხოვრებელი კომპლექსის მეპატრონემ ამწეკრანი დაიქირავა და სახლის სახურავზე ასწია ავტომობილი, რომლის მფლობელმაც ავტოსადგომის გადასახადი არ გადაუხადა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**მალამო ძვალ-სახსართა დაავადებების სამკურნალოდ**

მკურნალი ნანა პაიჭაძე საგვარეულო მალამოთი ეფექტურად მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს, დისკოზს, ნერვის ანთებას, კიდურების სიცივეს, დაბუჟებას, ფეხის ტერფისა და ქუსლების ტკივილს, ჰაიმორიტს. ქალბატონი ნანას პაციენტთა შორის არიან ცნობილი ადამიანები – აკადემიკოსი ანზორ შავგულიძე, მსახიობები ლეილა აბაშიძე, ჯემალ ღაღანიძე, ტელეწამყვანი გიორგი გოგიჩაიშვილი და მრავალი სხვა. მის: თევდორე მღვდლის 48, ტელ: 599-54-64-81; 593-00-08-26.

**კალეიდოსკოპი**

## მორიგმა „დროში მოგზაურმა“ აპოკალიფსი იწინასწარმეტყველა



უცნობმა მამაკაცმა ვიდეო ჩაწერა, რომელშიც თავი „დროში მოგზაურად“ წარმოადგინა, რომელიც 3300 წლიდან მოვიდა და განაცხადა, რომ მომავლიდან წარსულში იმისთვის მოვიდა, რომ კაცობრიობას კატასტროფა აარიდოს თავიდან.

მამაკაცმა სახე დაფარა და ხმა შეიცვალა. მისი მტკიცებით, ეს მან უსაფრთხოებიდან გამომდინარე გააკეთა. მან განაცხადა, რომ კაცობრიობას მომავალში რობოტების არმიასთან მოუწევს შებრძოლება, რომელთაც „ერთადერთი უზარმაზარი კომპიუტერი“ აკონტროლებს.

– მე ამ დროში არ დავბადებულვარ, არამედ 3258 წლის 1 დეკემბერს ევროპის იმპერიაში ვარ დაბადებული, – განაცხადა კამერის წინ უცნობმა.

მამაკაცი ასევე ამტკიცებს, რომ:

– რობოტებით გადაივსო მთელი პლანეტა, ისინი მეტისმეტად ჭკვიანები გახდნენ და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება ისწავლეს.

ხოლო თავად ის წარსულში დაბრუნდა, რათა ამის შესახებ კაცობრიობა გააფრთხილოს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# თბილისს ფრანგი ბარბაროსები ეწვევიან




მშვენიერი სიახლე რაგბის გულშემატკივრებს – 31 მაისს დინამო არენაზე ბორჯღალოსნები ფრანგ ბარბაროსებს დაუპირისპირდებიან. მატჩის ორგანიზება საქართველოსა და საფრანგეთის რაგბის კავშირებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მოხდა.

**გოჩა სვანიძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

– ზაფხულის პერიოდში ქართველი გულშემატკივარი ჩვენი ნაკრების თამაშების ცოცხლად ხილვის შესაძლებლობას მოკლებულია. გვსურდა მათთვის საჩუქარი გაგვეკეთებინა, ფრანგები გვერდში დაგვიდგნენ და 31 მაისს თბილისში, დინამო არენაზე ფრანგი ბარბაროსების ძლიერ გუნდს ვეთამაშებით. იმის გათვალისწინებით, რომ საფრანგეთში ძალიან ბევრი ქართველი ლეგიონერი თამაშობს, საფრანგეთის რაგბის კავშირმა საქართველოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. საფრანგეთში მათი მიწვევით ვიმყოფებოდით, გავმართეთ მოლაპარაკებები, გავაფორმეთ მემორანდუმი და მივიღეთ პირობა, რომ ისინი სხვადასხვა მიმართულებით დაგვეხმარებიან. სწორედ ამ შეთანხმების ერთ-ერთი ნაწილია საქართველოში ბარბაროსების სტუმრობა.

საფრანგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბერნარ ლაპორტმა ქართული რაგბის მიმართ პატივისცემა დაადასტურა და მომავალი მატჩის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

– საქართველო ევროპულ და მსოფლიო რაგბში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და აქედან გამომდინარე, საფრანგეთის რაგბის კავშირი დიდი სიხარულით დათანხმდა ამ მნიშვნელოვანი მატჩის გამართვას. მოგეხსენებათ, ფრანგმა ბარბაროსებმა შარშან მაორი ოლ ბლექსს მოუგო. ეს გუნდი თავისი მნიშვნელობით ძალიან დიდ როლს იკავებს ფრანგულ რაგბში და 2017 წლიდან საფრანგეთის რაგბის კავშირმა ფრანგ ბარბაროსებს მეორე ეროვნული ნაკრების სტატუსი მიანიჭა. ამ გუნდის მიზანია რაგბის ცოდნის, სიყვარულის, ფასეულობების ამაღლება და გავრცელება. ვიცი, რომ ეს 2 შეუდარებელი გუნდი დიდ პატივს სცემს ამ ფასეულობებს და შედეგის მიუხედავად, ერთმანეთს პატივისცემასა და სიყვარულს გაუზიარებენ.

ფრანგმა ბარბაროსებმა პირველი თამაში 1980 წელს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ გამართეს და 26:22 დაამარცხეს, ბოლოს კი 2017 წლის 10 ნოემბერს ახალი ზელანდიის მაორი ოლ ბლექსი მიიღეს და 19:15 მოუგეს. ამ შეხვედრაში ფრანგ ბარბაროსებს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ტოპ 14-ის ჩემპიონი კლერმონის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლეგენდარულმა ორელიენ რუჟერიმ უკაპიტნა.

# ილიას ზუროსი: „წინ რთული თამაშები გველის“

საქართველოს ნაკრები ვენაშია და ხვალ 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს ითამაშებს ავსტრიის ნაკრებთან.

ილიას ზუროსის გუნდი გუშინ ჩავიდა ვენაში და მატჩის დასრულებიდან 3 საათში, თბილისში დაბრუნდება, რათა 25 თებერვალს შინ გერმანიას დაუხვდეს.



ავსტრიაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელსაც მაიკლ დიქსონი შეუერთდა, ჯერ მსუბუქად ივარჯიშა, შემდეგ კომბინაციებზე გააკეთა აქცენტი და დაცვა-შეტევითი სიტუაციები დაამუშავა.

ვინ იქნება გუნდის კაპიტანი, ჯერ უცნობია, მაგრამ ბერძენი სპეციალისტი ალბათ უფრო გიორგი ცინცაძეს დაეყრდნობა.

კაპიტნის ასარჩევად უფრო იოლად აქვს საქმე ზუროსს, ვიდრე შემადგენლობის მხრივ. ბერძენ სპეციალისტს სრულიად ახალი გუნდის კეთება უწევს და არცთუ სახელიანი კალათბურთელებით. წარმოიდგინეთ, ნაკრებს 6 თვეში არ ჰყავს ზაზა ფაჩულია, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი, ბექა ბურჯანაძე და დუდა სანაძე... 7 კალათბურთელი ნახევარ გუნდზე მეტია...

ავსტრიაში საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია: გიორგი ცინცაძე (პოლიტექნიკა, რუმინეთი), მაიკლ დიქსონი (ბაჰჩეშეჰირი, თურქეთი), მიხეილ ბერიშვილი, ილია ლონდარიძე (ორივე დინამო), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ანატოლი ბოისა (კაკტუსი), ნიკა ცქიტიშვილი (ბიბლოსი, ლიბანი), ლევან ფაცაცია (დელტა), აკაკი დვალიშვილი (ქუთაისი), ნიკა დარბაიძე, მერაბ ბოქოლიშვილი (ორივე ოლიმპი), რეზო ჩაჩანიძე (რუსთავი).

**ილიას ზუროსი:**

– ავსტრიული 12-კაციანი შემადგენლობის შესახებ შესაძლოა გადაიხედოს გერმანიასთან თამაშის წინ და შევიდეს გარკვეული ცვლილებები. ავსტრია ძალიან ძლიერი გუნდია და წინ რთული თამაში გველის.

**ვლადიმერ ბოისა:**

– მართალია, ძალიან შესუსტებული შემადგენლობით ვართ, მაგრამ იმედი დიდი გვაქვს. ავსტრიაში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, ბიჭების მჯერა და ყველაფერი უნდა დავდოთ გასამარჯვებლად.

**გიორგი ცინცაძე:**

– მოხარული ვარ, რომ ტრავმის შემდეგ ვუბრუნდები კალათბურთს და ავსტრიასთან თამაშზე გუნდთან ერთად ვიქნები. ბიჭები ძალიან მონდომებულები არიან და იმედი მაქვს, წარმატებით დავასრულებთ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს.

**ნიკა ცქიტიშვილი:**

– ავსტრიაში რთული მატჩი გველის. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს არ ჰყავს სახელიანი მოთამაშეები, მაინც რთული იქნება სტუმრად გამარჯვება. ყველაზე სახიფათო მაჰალბაშიჩია, რომელსაც მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილება აქვს. გაცილებით ძლიერი მეტოქე გველის მეორე მატჩში.

**მერაბ ბოქოლიშვილი:**

– მადლიერი ვარ სამწვრთნელო შტაბის, რომ მომცეს შანსი მეთამაშა საქართველოს ნაკრებში. ჩვენი მიზანი ორივე თამაშის მოგებაა და როგორც ავსტრიასთან, ისე გერმანიასთან, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლეთ.

# ბარსელონას შედეგიანი ფრე და განადგურებული ბეშიქთაში

<u>**ჩელსი-ბარსელონა 1:1**</u>

**ლონდონი.** სტემფორდ ბრიჯი

1:0 ვილიანი (62), 1:1 მესი (75)

**ჩელსი:** კურტუა, რუდიგერი, კრისტენსენი, ასპილიკუეტა, ალონსო, კანტე, ფაბრეგასი (დრინკუოტერი 84), მოზესი, პედრო (მორატა 83), აზარი, ვილიანი

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, სერხი რობერტო, პიკე, უმტიტი, ხორდი ალბა, რაკიტიჩი, ბუსკეტსი, პაულინიო (ვიდალი 63), მესი, ინიესტა (გომეში 90), ლ.სუარესი



მატჩი გამორჩეული მომენტებით მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ ძალიან დაძაბული გამოდგა. ვიხილეთ 2 განსხვავებული ფილოსოფიის გუნდების შეხვედრა: თავისი საფეხბურთო მოდელის მიმდევარი ბარსელონა და კონტრშეტევებზე მოთამაშე ჩელსი. მიუხედავად ამისა, მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

როგორც აღვნიშნეთ, მასპინძლებმა მეორე ნომრად თამაში ირჩიეს და აქცენტი სწრაფ კონტრშეტევებზე გააკეთეს. ანტონიო კონტეს გეგმამ 75 წუთი გაამართლა. ლონდონელები უფრო მწვავედ „იკბინებოდნენ“, სტუმრები კი ამ დროის მანძილზე ბურთის ფლობის 70 პროცენტს რეალიზებას ვერ უხერხებდნენ. მარტო პირველ ტაიმში ვილიანმა ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს და ბურთი კარში რომ წასულიყო, ორივე შემთხვევაში ტერ შტეგენი უძლური იქნებოდა.

ბრაზილიელმა თავისი მესამე შანსი მეორე ტაიმში გამოიყენა და ჩელსი წინ გაიყვანა. 1:0 მასპინძლებისთვის იდეალური ანგარიში იქნებოდა, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ მოახერხეს. მუდმივად დაცვაში მყოფი გუნდი ერთ შეცდომას მაინც უშვებს, ხოლო ამას ბარსელონა არავის პატიობს. კრისტიანსენის დაუკვირვებლობით კატალონიელებმა კარგად ისარგებლეს და მესიმ ლონდონელები დასაჯა – არგენტინელმა, როგორც იქნა, ჩელსის გაუტანა და ამ გუნდთან 700-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა.

ახლა ბარსელონა უკეთ გრძნობს თავს, რადგან ჩელსი რთულ მდგომარეობაშია: ლონდონელებს კამპ ნოუზე მხოლოდ მოგება აწყობთ, ან უფრო შედეგიანი ფრე...

ჰო, პირველი წუთებიდან ჩელსის შემადგენლობაში არც ერთი ინგლისელი არ იყო. კონტეს გუნდის განაცხადში 3 ინგლისელი ფეხბურთელი ჰყავდა: დენი დრინკვოტერი, გარი კეჰილი და კალიმ ჰადსონ-ოდოი. მათგან მხოლოდ დრინკუოტერი ჰამოჩნდა მოედანზე და ისიც 6 წუთით.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვილიანი***

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა ბრაზილიელმა, გაწია უზარმაზარი სამუშაო – გუნდს დაცვაშიც ეხმარებოდა და კონტრშეტევებზეც წინ მიუძღვოდა. პრობლემებიც მისგან ექმნებოდათ კატალონიელებს. 3-ჯერ შეეძლო გოლის გატანა და ერთხელ მოახერხა. თუმცა, ორჯერ ძელს გაარტყა ბურთი და ტერ შტეგენი მაგრად ანერვიულა.

**ანტონიო კონტე:**

– ჩელსი იდეალურ თამაშთან ახლოს იყო. თუმცა, მხოლოდ ერთი შეცდომა... ყველამ კარგად ვიცით, მესისთან, სუარესთან და ინიესტასთან ასეთი შეცდომა რა ძვირიც ჯდება. ჩვენი გეგმა იდეალურად კარგი იყო. ვსაუბრობთ 1:1-ზე, შესაძლოა, ჩელსიმ მეტი დაიმსახურა... კრისტენსენმა ჩინებული მატჩი ჩაატარა. ის მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ ამ ასაკშიც ძალიან განვითარებულად გამოიყურება. ჩემთვის კრისტენსენი შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ვიმეორებ, მან ტოპ მატჩი ჩაატარა და მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ.

**ერნესტო ვალვერდე:**

– ჩემთვის თამაში კარგი იყო. ლონდონში ჩავედით, სადაც თამაში რთულია. ჩელსი პრემიერლიგის გამარჯვებულია და მათ წონაზე თავიდანვე ვზრუნავდით. მეტოქეს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებმაც პრობლემა შეგვიქმნეს, თუმცა მათ შანსები რთულად შეექმნათ. 1:1 კარგი შედეგია და ვფიქრობ, დავიმსახურეთ. ძნელია, როდესაც შენ წინააღმდეგ მოთამაშეთა ამ რაოდენობის ჯგუფია. სივრცის მოძებნა რთულია. მიუხედავად ყველაფრისა, ხარისხიანად უნდა იბრძოლო და კარგად ასრულებდე. მესის თამაში დაეცა? შესაძლოა, მაგრამ მეტოქე 5 მცველით იცავდა თავს. თუ წინ 5 მოთამაშეს დავაყენებდით, დაცვაში 10 კაცით იქნებოდნენ და მაშინ ადგილსაც დაიკავებდნენ. საკუთარი თავი უნდა დაგვეცვა, ასე რომ, ბედნიერები ვართ, მაგრამ წინ კიდევ დიდი გზაა. ბარსელონაში გადამწყვეტი მატჩი იქნება.

**ბაიერნი-ბეშიქთაში 5:0**

**მიუნხენი.** ალიანს არენა

1:0 მიულერი (43), 2:0 კომანი (53), 3:0 მიულერი (66), 4:0, 5:0 ლევანდოვსკი (79, 88)

**ბაიერნი:** ულრაიხი, ალაბა, ჰუმელსი, ბოატენგი, კიმიხი, ხავი მარტინესი, ვიდალი (ტოლისო 83), ხამესი (რობენი 44), მიულერი, კომანი (რიბერი 81), ლევანდოვსკი

**ბეშიქთაში:** ფაბრი, ადრიანო, პეპე, ვიდა, ერკინი (გენიული 69), ჰატჩინსონი, მედელი (არსლანი 85), კუარეჟმა, ტალისკა, ბაბელი, ლავი (ტოშიჩი 57)

**გაძევება:** ვიდა (16)

მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ერთი გუნდის მიერ მეორეს განადგურება მოდაში შემოვიდა. მათ რიცხვს მიუნხენის ბაიერნიც შეუერთდა და პირველივე დაპირისპირებაში გადაწყვიტა ორრაუნდიანი შეხვედრის ბედი.

ბეშიქთაშმა თითქოს ურიგოდ არ დაიწყო, ბრძოლაშიც იყო, მაგრამ მალევე მოედნიდან ვიდა გაუძევეს, რამაც ბოლომდე გატეხა თურქები. ინერციით ჯერ კიდევ იბრძოდნენ, დიდი ხანი არ აძლევდნენ ბავარიელებს გოლის გატანის უფლებას, მაგრამ ზედ შესვენების წინ გაუშვეს და მეორე ტაიმში უკვე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო.

ბავარიელებმა მეორე ტაიმში დაწოლას მოუმატეს, დემორალიზებულ მეტოქეს უამრავი მომენტი შეუქმნეს და ფაბრის კარში გატანილი 5 გოლიც ლოგიკური იყო, თუმცა მეტიც შეიძლებოდა.

***მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ტომას მიულერი***

გერმანელმა ნახევარმცველმა ჩინებულად ითამაშა. თავის დროზე ერთვებოდა შეტევებში, მწვავედ უტევდა, რის შედეგად 2 გოლიც დაიმსახურა. არც გუნდური თამაში ეშლებოდა, ბევრ კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძრავი იყო.

**იუპ ჰაინკესი:**

– ჩემი გუნდის შესრულებით 2 განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. შესვენებამდე მაღალ ტემპში არ გვითამაშია, ცუდი კომბინაციები გამოგვდიოდა და ბეშიქთაშს უფრო მეტად შეტევის საშუალებას ვაძლევდით. პირველი ტაიმის ბოლოს გატანილმა გოლმა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოგვცა და მეორე ნახევარში მოედანზე სულ სხვა ბაიერნი იყო. რამდენიმე შესანიშნავი გოლი გავიტანეთ და ჩინებული ფეხბურთიც ვითამაშეთ.

ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. ნებისმიერი გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგის დონეზე 10 კაცით მოედანზე ყოფნა რთულია. კვლავ მივიჩნევ, რომ ბეშიქთაში ჩინებული გუნდია, რომელშიც ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს. ძალიან მიხარია, რომ ასეთ გუნდთან ჩვენთვის კომფორტულ შედეგს მივაღწიეთ. საპასუხო შეხვედრისთვის სრული სერიოზულობით მოვემზადებით. ჩემპიონთა ლიგაზე რისკი არ შეიძლება.

**შენოლ გიუნეში:**

– მეტოქემ გვაჯობა. უკეთ გვინდოდა გვეთამაშა და გაგვემარჯვა კიდეც, მაგრამ ვიდას გაძევების შემდეგ ფიზიკურადაც გაგვიჭირდა და ფსიქოლოგიურადაც. მოწინააღმდეგემ მეორე ტაიმში ამით ისარგებლა. ჩვენ შემტევი გუნდი გვყავს, თუმცა უფრო თავდაცვა მოგვიხდა. ბაიერნი ძლიერია და ჩვენი ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მოგვცა. ასეთ შედეგს არ ვიმსახურებდით.

## შედეგები

**20 თებერვალი**

<u>**ფეხბურთი**</u>

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბაიერნი-ბეშიქთაში ........................ 5:0
ჩელსი-ბარსელონა ........................ 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-პრესტონი .................. 1:1
ბარნსლი-ბარტონი ........................ 1:2
ბრენტფორდი-ბირმინგემი ............ 5:0
მიდლსბრო-ჰალი .......................... 3:1
მილუოლი-უენსდი ........................ 2:1
ნოტინგემი-რედინგი ...................... 1:1
შეფილდი-ქპრ .............................. 2:1
ბოლტონი-სანდერლენდი .............. 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტრუა-დიჟონი 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 2 | 2 | 81-19 | 68 |
| 2.მონაკო | 26 | 17 | 5 | 4 | 64-26 | 56 |
| 3.მარსელი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-29 | 55 |
| 4.ლიონი | 26 | 14 | 7 | 5 | 56-32 | 49 |
| 5.ნანტი | 26 | 11 | 6 | 9 | 27-27 | 39 |
| 6.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 24-21 | 38 |
| 7.რენი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 8.ბორდო | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 9.ნიცა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-38 | 35 |
| 10.გენგამი | 26 | 9 | 7 | 10 | 26-33 | 34 |
| 11.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-40 | 33 |
| 12.კაენი | 26 | 9 | 5 | 12 | 20-30 | 32 |
| 13.დიჟონი | 26 | 9 | 5 | 12 | 36-52 | 32 |
| 14.სტრასბური | 26 | 8 | 6 | 12 | 32-47 | 30 |
| 15.ტრუა | 26 | 8 | 4 | 14 | 24-34 | 28 |
| 16.ტულუზა | 26 | 7 | 6 | 13 | 22-33 | 27 |
| 17.ლილი | 26 | 7 | 6 | 13 | 25-41 | 27 |
| 18.ამიენი | 26 | 7 | 5 | 14 | 22-30 | 26 |
| 19.ანჟე | 26 | 5 | 10 | 11 | 27-39 | 25 |
| 20.მეცი | 26 | 5 | 3 | 18 | 23-47 | 18 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ეგვიპტელმა ქმარი შაურმის ყიდვაზე უარის თქმისთვის მიატოვა



ეგვიპტელმა ქალმა მას შემდეგ გადაწყვიტა ქმარს გაშორდეს, როდესაც მან მისთვის შაურმის ყიდვაზე უარი განაცხადა.

— ტრადიციის თანახმად, ჩვენ ერთმანეთს მშობლებმა გაგვაცნეს. ის პირველად ქორწილამდე ორი თვით ადრე ვნახე და მაშინვე შევნიშნე, თუ როგორი ძუნწი იყო, — განაცხადა ქალმა.

მისი თქმით, ქმარმა ქორწილის შემდგომ პირველივე კვირას განუცხადა, რომ სადმე სიარულს ვერ იტანს, ვინაიდან ის ამას ფულის ფუჭ ფლანგვად თვლის.

თუმცა ქორწინებიდან მე-40 დღეს ქალმა მაინც დაითანხმა მეუღლე პირველად წასულიყვნენ სასეირნოდ. ამ სეირნობის დროს, მან ქმარს შაურმის ყიდვა სთხოვა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო და მიზეზად ის დაასახელა, რომ მისთვის უკვე წვენი ჰქონდა ნაყიდი. ქმარმა ის მერკანტილურობაში დაადანაშაულა და სკანდალი მოუწყო. ამის შემდეგ ქალმა საბოლოოდ გადაწყვიტა, თავის მშობლებთან დაბრუნებულიყო და იმავე დღეს განცხადება შეიტანა განქორწინებაზე, რომელსაც სასამართლო უახლოეს დროში განიხილავს.

## სპერმის დონორის შვილმა 40 ძმა და და მოძებნა



ორლანდოელი კიანი აროიო, რომლის მამაც სპერმის დონორია, ხუთი წელია ძმებს და დებს ეძებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

— ყოველთვის მინდოდა უფრო მეტი მცოდნოდა მამაჩემზე და იმაზე, მყავდა თუ არა ძმები და დები. ამიტომ, როგორც კი იმ ასაკის გავხდი, როდესაც შემეძლო მენახა საბუთები, ამას დაუყოვნებლივ შევუდექი, — განაცხადა აროიომ. ხუთი წლის განმავლობაში 21 წლის გოგონამ ორმოცზე მეტი ძმა და და აღმოაჩინა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. მათ შორის ყველაზე უმცროსი ახლახან გახდა ხუთი თვის.

აროიომ ერთ-ერთი პირველი ჯოანა იპოვა, რომელიც მასზე ერთი წლით უმცროსი იყო და იმავე ქუჩაზე ცხოვრობდა. გოგონები დამეგობრდნენ და მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც ხვდებიან ერთმანეთს. მისი თქმით, დანარჩენ ძმებთან და დებთანაც მან მაშინვე დაამყარა კარგი ურთიერთობა და პირველივე შეხვედრის შემდეგ ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ.

გოგონა საკუთარ მამას რამდენჯერმე შეხვდა და მას „ძალიან მაგარი ბიჭი“ უწოდა. პირველივე შეხვედრის დროს, რომელსაც გოგონას დედაც ესწრებოდა, ისინი ერთად წავიდნენ ტატუ სალონში და გოგონამ თავისი პირველი სვირინგი გაიკეთა.

## ინგლისელი ღვთისმსახური ნარკოტიკების მოხმარებასა და პორნოს ყურებაში ამხილეს



ინგლისური ეკლესიის ღვთისმსახურს იმ მომენტში გადაუღეს ვიდეო, როდესაც ის ნარკოტიკებს იღებდა. ამ მაკომპრომენტილებელმა ვიდეომ ადგილობრივი გამოცემების ყურადღება მიიქცია.

კადრებში ჩანს, თუ როგორ მოიხმარს მისი უსამღვდელოესობა სტენეტ კირბი კანაფსა და კოკაინს თავის მეგობართან ერთად. ასევე ის უყურებდა პორნოს და მეგობართან საუბარში ამბობს, რომ მეძავების გამოძახება უნდოდა, მაგრამ ამისთვის ფული აღარ დარჩა. ეს ყოველივე მის მილიონნახევარ ფუნტ სტერლინგად შეფასებულ სახლში ხდებოდა, რომელიც ჩელმსფორდის ეპარქიამ გადასცა.

კირბი ღვთისმსახურად 2007 წლიდან მსახურობს ქალაქ ვესტჰემის ეკლესიაში. გადაღების დროს ის ბიულეტენზე იმყოფებოდა.

ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვიდეორგოლი ნახეს, ამ ფაქტის შიდაგამოძიება დაიწყეს და სრული სერიოზულობით მიუდგებიან.

## სამმეტრიანმა ზვიგენმა მეთევზე ნავიდან გადააგდო

ავსტრალიელმა მეთევზემ ვერ მოახერხა გამკლავებოდა ზვიგენს, რომელიც მის ანკესზე წამოეგო და წყალში გადავარდა.

34 წლის ბრეტ პალმერი ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ ბალნარინგის მახლობლად ნავით თევზაობდა. მისი თქმით, დიდი ზვიგენი მის ანკესზე თევზაობის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ წამოეგო. მან ნავში მისი ამოთრევა სცადა, მაგრამ სამმეტრიანი მტაცებელი თავგანწირვით ეწინააღმდეგებოდა და წყლიდან ხტებოდა.

— მან ნავს ისე უკბინა, რომ კინაღამ ჩემ ფეხსაც ჩაავლო კბილი, — გაიხსენა მეთევზემ.



ზვიგენმა ავსტრალიელის ნავის გადაბრუნება მოახერხა და მამაკაცი წყალში აღმოჩნდა.

— რამდენიმე შეგინება გავიგონე, შემდეგ წყლის დგაფუნის ხმა და ის წყალში აღმოჩნდა, — განაცხადა მისმა ძმამ, რომელიც მეორე ნავში იმყოფებოდა და ასევე თევზაობდა.

პალმერმა ძმის ნავში ასვლა მოასწრო და ამის გამო არ დაშავებულა.

— ეს უბრალოდ საშინელება იყო, — განუცხადა მან მოგვიანებით ჟურნალისტებს, — არ მიყვარს ზვიგენები.

მეთევზეებმა გადაწყვიტეს, გადაბრუნებული ნავი დაეტოვებინათ და სახლში დაბრუნებულიყვნენ.

მეორე დილით ცარიელი ნავი, რომელსაც ზვიგენის ნაკბილარი ეტყობოდა, ზღვის სანაპიროზე შენიშნეს. მისი პატრონის საძიებო სამუშაოებში სანაპირო დაცვა, საზღვაო პოლიციის შვეულმფრენი და მოხალისე მაშველები ჩაერთნენ.

მალე გაირკვა, რომ ნავი პალმერს ეკუთვნოდა. ამის შემდეგ მას პოლიციელები ესტუმრნენ და დაკარგული დაუბრუნეს. ის ამ დროს სახლში იმყოფებოდა და არც კი იცოდა, თუ მის გამო რა აურზაური იყო ატეხილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოფლელებმა ნიანგის მუცელში მეზობელი იპოვეს



კენიის მაკუენის სოფელ კანტუნის მცხოვრებლებმა მოკლეს ნიანგი, რომელმაც ადამიანი შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მტაცებელი რეპტილიის მსხვერპლი გახდა საშუალო ასაკის მამაკაცი, რომელიც მდინარე ატიზე სათევზაოდ იყო წასული. როდესაც ის უკან აღარ დაბრუნდა, მისმა ნათესავებმა განგაში ატეხეს. დაკარგულის ძებნაში ნათესავებთან ერთად სოფლის სხვა მცხოვრებლებიც ჩაერთნენ.

მდინარის ნაპირზე იპოვეს მეთევზის ნივთები, მათ შორიახლოს კი მზეს ეფიცხებოდა ნიანგი. საძიებო ოპერაციის მონაწილეებმა რეპტილია დაიჭირეს, მას მუცელი გაუფატრეს და მასში ადამიანის ხელი აღმოაჩინეს. ამის შემდეგ ადგილობრივებმა მდინარის კალაპოტის ნაწილი დააშრეს და დაღუპულის სხეულის სხვა ნაწილებიც იპოვეს.

## ბრიტანელი მეძავი თავს პატიოსან ბიზნესმენად მიიჩნევს



ბრიტანელი ქალბატონი კირი რედფილდი მეძავად მუშაობს და თავს პატიოსან ბიზნესმენად მიიჩნევს. მან დაარეგისტრირა ფირმა, პატიოსნად იხდის გადასახადებს და თავს წესიერ მოქალაქედ თვლის.

მისი ბიოგრაფია ჩვეულებრივად იწყება. მან კარგად დაამთავრა სკოლა, დაეუფლა მედდის პროფესიას, მუშაობდა ფაბრიკაში, მაგრამ 20 წლის შემდეგ მიხვდა, რომ სურდა სექს-ინდუსტრიაში ჩართულიყო. მას მომხიბვლელად მოეჩვენა ფულის სექსით შოვნის იდეა. იმისთვის, რომ უფრო მეტად მიმზიდველი გამხდარიყო, სილიკონის მკერდი გაიკეთა. რედფილდს ეამაყება, რომ ის პორნოფილმებშია გადაღებული და მისი გამოსახულებები ამშვენებდა ფილმების ფირფიტების გარეკანს.

ამჟამად რედფილდს საკუთარი ფირმა აქვს, საკუთარი შემოსავლების შესახებ არაფერს უმალავს საგადასახადო სამსახურებს. თავად მისი ბიზნესი კლიენტების ავტოფურგონით მომსახურებაში მდგომარეობს. ქალის მეუღლე კი მშვიდად უყურებს ცოლის საქმიანობას.

## ბრიტანელის ბაღში მკვდარი ზვიგენი ჩამოვარდა



ბრიტანელმა საკუთარ ბაღში ციდან ჩამოვარდნილი მკვდარი კატისებრი ზვიგენი აღმოაჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ჯეიმს ჰილი, რომელიც კენტის საგრაფოს ქალაქ უიტსტაბლში ცხოვრობს და წყალზე მაშველად მუშაობს, საკუთარ სამზარეულოში ჩაის სვამდა, როდესაც მამამისი შევიდა და ჰკითხა, თუ რა ერქვა დაახლოებით 60 სანტიმეტრი სიგრძის ზვიგენს. როდესაც ის დაინტერესდა, თუ ეს რაში აინტერესებდა, მამამ აუხსნა, რომ ასეთი ზვიგენი მის ბაღში მიწაზე ეგდო.

ჰილის თქმით, ზვიგენი ორი დღის მკვდარივით გამოიყურებოდა.

— ეს იყო ყველაზე დიდი სისულელე მათ შორის, რაც კი ოდესმე ჩემ ცხოვრებაში მომხდარა და არც კი ვიცი, რა ვთქვა. ჩემთვის ჩაის ვისხამდი, როდესაც ზვიგენი ჩემ ბაღში ჩამოვარდა, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ჰილს მიაჩნია, რომ ის თოლიას ჩამოუვარდა, რომელმაც საკუთარი შესაძლებლობები ვერ შეაფასა და ნადავლი ბუდემდე ვერ მიიტანა.

კატისებრი ზვიგენები ზომიერ და ტროპიკულ წყლებში ბინადრობენ. მათი სიგრძე 21 სანტიმეტრიდან 1,7 მეტრამდე აღწევს. ისინი ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ და უხერხემლოებითა და წვრილი თევზებით იკვებებიან.

**განცხადება**

**ქ.თბილისის ნოტარიუს ქეთევან ბოჭორიშვილთან წარმოებაშია სამემკვიდრეო საქმე 1994 წლის 19 დეკემბერს გარდაცვლილი არევატ დავითის ასულ აირაპეტოვის დანაშთ ქონებაზე, მდებარე: ქ.თბილისი, ფიროსმანის ქუჩა №10-ში.**

## ასტროპროგნოზი

### 22 თებერვალი



**ვერძი** — დღის პირველ ნახევარში საქმეს მინიმალური ძალისხმევა დასჭირდება. პარტნიორებთან კონტაქტი გაამართლებს. **კურო** — პროფესიულ სფეროში არ იაქტიუროთ. უმჯობესია, გაისეირნოთ ბუნების წიაღში, გაიფართოვოთ ცოდნის არეალი. **ტყუპები** — მოსალოდნელია ფინანსური სირთულეები. ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად განეწყვეთ. მალე სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ შეიცვლება. **კირჩხიბი** — მიზანს საკმაოდ სწრაფად მიაღწევთ. არ დაივიწყოთ ახლო ნათესავები. მათ თქვენი თანადგომა სჭირდებათ. **ლომი** — ბევრი საქმე გაქვთ. ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა არც ისე მარტივი იქნება, როგორც გგონიათ. **ქალწული** — დასვენება გჭირდებათ. გადაღლა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ეცადეთ, დახურულ სივრცეში დიდხანს არ დარჩეთ. **სასწორი** — სიამაყე და სიჯიუტე უსიამოვნებას შეგამთხვევთ. იყავით უფრო ლმობიერი და დამთმობი. **ღრიანკალი** — ჯანმრთელობას მიხედეთ. ძალიან მოგიხდებათ წყლის პროცედურები. ახალი ნაცნობობის შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **მშვილდოსანი** — კეთილისმყოფელი დღეა როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური საქმიანობისათვის. ბედი გწყალობთ. **თხის რქა** — იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო ახალი ნივთის შეძენისას. **მერწყული** — თქვენს ნიჭსა და პროფესიონალიზმს ფართო გასაქანი ეძლევა. არ იზარმაცოთ. **თევზები** — დაუმთავრებელ საქმეებს ნუ დაიგროვებთ. კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისა და დასვენებისათვის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული ძველად საქართველოში; 3. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 4. მონღოლთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. საგაზეთო პუბლიკაცია; 11. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 12. პოპულარული კლიმატური კურორტი ლიტვაში; 14. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 16. საზაფხულო ფეხსაცმელი; 17. ქარის მიმართულების მაჩვენებელი ხელსაწყო; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი; 21. კომბინაცია პოკერში; 22. იაპონური ავტომობილი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. მამაკაცის ძალიან წვრილი, ქალისებრი ხმა; 8. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სისხლნაკლებობა; 10. მტრედის ბარტყი; 13. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 15. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 20. ფულის ერთეული თურქეთში; 21. არაბი გლეხი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია; 24. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჩოდარი; 2. აკრი; 3. „მარასკინი“; 4. ცაიში; 6. ხინკალი; 8. ზარაფი; 9. ხაბიზგინა; 12. რამოსი; 14. ხერესი; 16. „აპოლო“.

**თარაზულად**: 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. დროზერა; 9. ხორავა; 10. ლირა; 11. „ბარამბო“; 13. შახტი; 15. „მარიცა“; 17. მიუსერა; 19. ფიესტა; 20. რომანსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ვინიცა; 4. სიამი; 5. იშხანი; 11. ტეკილა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლანცეტი; 17. დარნიცა; 19. რეცეპტი; 21. ლავრა; 22. „შატლი“.

**თარაზულად**: 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. მუყაო; 9. არახისი; 10. ცენტი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. „დავლური“; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ციცარი.

# მუსიკალური მეგაშოუ „რანინა“ იწყება



საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი მუსიკალურ მეგაშოუ „რანინას“ იწყებს.

შოუს პირველი ათეული უკვე ცნობილია. პირველი ეტაპი საუკეთესოთა შორის მოსახვედრად ჩატარებულია. 10 კონკურსანტს 12 შოუსა და 12 ურთულესი გამოცდის ჩაბარება ელოდება. ეს იქნება 3-თვიანი მარათონი, სადაც „რანინას“ მონაწილეები იმღერებენ ორკესტრთან, ბენდებთან და მეგავარსკვლავებთან ერთად. პატარა კონკურსანტებისთვის დავით მაზანაშვილის ბენდი დაუკრავს.

„რანინას“ მონაწილეები არიან თამარ ედილაშვილი, ნიკოლოზ ვასაძე, ნიტა ჯახუა, მარია-ელენე ბეჟაშვილი, ანასტასია ტოგონიძე, გიორგი ცისკაძე, ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი, მარიამ საგინაშვილი, დავით ქიმერიძე, ალექსანდრე ზაზარაშვილი. კონკურსანტების უმრავლესობას უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა შოუებში, მათ შორის „ნიჭიერსა“ და „იქს ფაქტორში“, ახლა კი „რანინას“ კონკურსანტები არიან.

„რანინას“ წამყვანი პიანისტი დათუნა ალადაშვილია, ჟიურის წევრები კი ცნობილი მომღერლები და მუსიკოსები ნატალია ქუთათელაძე, დათო ევგენიძე, ლიზა ბაგრატიონი, ნინო ქათამაძე, ბექა გოჩიაშვილი, მიშა მდინარაძე...

26 თებერვლიდან პირველ არხზე დიდი მუსიკალური დღესასწაული აიღებს სტარტს. 10 კონკურსანტიდან ერთ-ერთი კი გახდება რჩეული და იქნება საქართველოს ხმა 2018 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.

# სამგლოვიარო განცხადებები



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები – გურამ მარგიშვილი, თამაზ დარჩიაშვილი, ირაკლი ჩიკვაიძე, ზაურ ჯალაღონია, ცისანა ქიტიაშვილი, მერი მამარდაშვილი, ჟიული ნიკოლაიშვილი, თამაზ ტყეშელაშვილი, ლუიზა გუმბარიძე, ვლადიმერ ტაბაღუა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ განუყრელი მეგობრის, საქართველოს პროკურატურის ორგანოების დამსახურებული მოღვაწის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის

**ზურაბ ვარლამის ძე ჯორჯიკიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს.

დაე, უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი!

გამოსვენება: 22 თებერვალს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიიდან.

---

გარდაიცვალა შესანიშნავი ვაჟკაცი, გულანთებული მამულიშვილი ქვეყნისა და ოჯახისთვის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის, მთელი ნათესავებისა და მეგობრებისათვის, წარსულში სენაკის რაიონის პროკურორი, ახალგაზრდობაში საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, მრავალი ახალგაზრდის სიმართლის გზაზე დამყენებელი და აღმზრდელი

**ზურაბ ჯორჯიკია**

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა სახელით: რომან რურუა, თამაზ მაჭავარიანი, ვლადიმერ კანკავა, ვასილ ცუხიშვილი

---



მეუღლე ლია, შვილი თამარი, შვილიშვილები ქეთევანი, გვანცა, შვილთაშვილები გიორგი, ელენე, თამარი, სიძეები ზურაბ შიშმანაშვილი, მიხეილ ბეგიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურმან ედილაშვილი**

**პანაშვიდი:** 22, 23 თებერვალს.

**დაკრძალვა:** შაბათს, 24 თებერვალს, 14 საათზე.

**მისამართი:** სოფელი დიღომი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №2.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# „დედე“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის



ახალგაზრდა რეჟისორის მარიამ ხაჭვანის ფილმი „დედე“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის. არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და სხვადასხვა ჯილდოსა და პრემიის მფლობელი ფილმის ნახვა ქართველ მაყურებელს 22 თებერვლიდან შეეძლება.

„აზიურ ოსკარზე“ იუნესკოს პრიზის მფლობელი ქართული მელოდრამა „დედე: სვანური ბალადა!“ სხვადასხვა ქვეყნების კინოთეატრებში უკვე აჩვენეს.

– სვანეთი, როგორიც ჯერ არ გინახავთ და საოცარი სიყვარულის ისტორია დიდ ეკრანზე, – ასეთია ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის მთავარი გზავნილი მაყურებლისადმი.

მარიამ ხაჭვანის ფილმში მთავარ როლებს ნათია ვიბლიანი და გიორგი ბაბლუანი ასრულებენ.

**მარიამ ხაჭვანი:**

– 22 თებერვლიდან მრავალ დაბრკოლებაგამოვლილი ფილმი „დედე“ საქართველოს კინოთეატრებშია. მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჯგუფს და ყველას, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ ფილმის დასრულებაში.

განსაკუთრებულად ვღელავთ ყველანი. პირადად ძალიან ვნერვიულობ, სულ სხვა განცდებია, როდესაც აქაურმა მაყურებელმა უნდა შეაფასოს ჩემი ნამუშევარი. ალბათ ყველას არ მოეწონება ეს ფილმი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უმეტესობა დადებითად შეაფასებს.

***– რატომ გგონიათ, რომ მაყურებელს ფილმი არ მოეწონება?***

– საერთოდ ასეა. ვერ გადაიღებ ისე ფილმს, რომ ყველას მოეწონოს. რაც არ უნდა კარგი ფილმი იყოს, ის კრიტიკას მაინც დაიმსახურებს, უარყოფითი შეფასებაც ექნება და ეს ნორმალურიცაა.

***– ფილმში ოთხივე სეზონი რატომ გადაიღეთ?***

– ფილმის გადაღებები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მართლაც ურთულეს პირობებში მოგვიწია მუშაობა. ზაფხულის სეზონის გადაღება იმიტომ მინდოდა, რომ უშგული ზაფხულში ძალიან ლამაზია. სხვა სეზონები ასეთი ლამაზი არ არის და ძალიან მინდოდა, რომ მაყურებელს ერთი წლის განმავლობაში ეცხოვრა უშგულში, რომ უფრო მეტად შეეგრძნო იქაური ცხოვრების სინამდვილე. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ ფილმში ოთხივე სეზონი ყოფილიყო.

# ფონდი „იავნანა“ 14 წლის იუბილეს საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნავს

3 მარტს საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ 14 წლის ხდება და ამ თარიღს საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნავს.

„სიკეთე იავნანასთან ერთად“ – ასეთია საიუბილეო კონცერტის დევიზი, რომელიც თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ვარსკვლავები: ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, გოჩა დათუსანი, ვალერიან შიუკაშვილი, ნინო ქათამაძე, ნატო მეტონიძე, სოფო ნიჟარაძე, ანსამბლი „შვიდკაცა“, ზაზა მარჯანიშვილი, გიგი გეგელაშვილი და ჯგუფი „სინათლის წელიწადი“, ვახტანგ მაჭავარიანი, ნიკოლოზ რაჭველი, ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

# „მაკდონალდსმა“ სპორტის მხარდაჭერის მიზნით ბურგერში ცხიმი ჩაამატა




სწრაფი კვების რესტორნების ქსელი „მაკდონალდსი“ დიდ ბრიტანეთში უპასუხისმგებლობაში მას შემდეგ დაადანაშაულეს, როდესაც ბურგერების ახალი ხაზი ამოქმედდა. ისინი დანარჩენ სენდვიჩებს კალორიულობით აღემატებიან და უფრო დიდი რაოდენობით ცხიმებს შეიცავენ.

კოლექციის კლასიკურ ბურგერში – 698 კილოკალორიაა, მწარეში – 635, ბარბექიუში – 732. შედარებისთვის: პოპულარული ბიგ მაკის ენერგეტიკული ღირებულება სულ რაღაც 508 კილოკალორიაა. გარდა ამისა, ჰამბურგერი ახალი კოლექციიდან 44 გრამ ცხიმს შეიცავს, მაშინ როდესაც, ბიგ მაკის შემადგენლობაში ცხიმის რაოდენობა 25 გრამია.

„მაკდონალდსმა“ ახალი ხაზი 2017 წლის ზაფხულში წარმოადგინა, შემდეგ კი მენიუში ბურგერები რაგბიში ექვსი ერის თასის გათამაშების დროს დააბრუნა, რომელიც მიმდინარე წელს 3 თებერვალს დაიწყო და 17 მარტამდე გაგრძელდება. კომპანია ამ ტურნირის სპონსორია.

ექსპერტებმა „მაკდონალდსი“ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ბურგერების გამოშვება სპორტს დაუკავშირა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოზრდილი ადამიანისთვის განკუთვნილი ძირითადი კერძის კალორიულობა 600-ს არ უნდა აღემატებოდეს.

# ბორბლებიანი მაცივრის მთვრალი მძღოლი დააჯარიმეს



ახალი ზელანდიის ქალაქ ნიუ-პლიმუთში სასამართლომ მამაკაცის დაჯარიმების გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც გზის სავალ ნაწილზე პორტატული მაცივრით მგზავრობდა.

2017 წლის დეკემბრის დასაწყისში პოლიციელებმა ნიუ-პლიმუთში გააჩერეს 35 წლის ლანი ლიუის ჰანტი, რომელიც ქალაქის ქუჩებში პატარა ძრავით აღჭურვილ ბორბლებიან მაცივარზე ამხედრებული გადაადგილდებოდა. მისთვის ჩატარებულმა ალკოტესტმა აჩვენა, რომ მის ორგანიზმში ალკოჰოლის დონე ორჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას.

ჰანტს არ უარყვია, რომ ნასვამი იყო და განმარტა, რომ ალკოჰოლური სასმელების მაღაზიიდან მოდიოდა. მისი თქმით, არ ეგონა, რომ ქუჩაში ძრავითა და ბორბლებით აღჭურვილი მაცივრით მგზავრობა აკრძალული იყო.

მამაკაცი არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის გარეშე მართვაში დაადანაშაულეს. სასამართლოზე ჰანტმა დანაშაული აღიარა. მას 500 ახალზელანდიური დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# პროგრამა

**ხუთშაბათი 22 თებერვალი**

**05.15, 08.45, 11.30, 14.00** ზამთრის **23**-ე ოლიმპიადა (პ/ე) **07.00** დოკ/ფ "გონების თამაშები" **07.25** მხ/ფ "**როდესაც მეფეები ვიყავით**" **10.25, 16.45** ოლიმპიური გადაცემა. **12.20** დოკ/ფ "იაოს წელიწადი" **17.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **18.00, 21.00** "მოამბე" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**ანგელოზები და დემონები**" (ტ.ჰენკსი) **00.50** ოლიმპიადა

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.05** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" . **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **8** სერ. **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.00** მხ/ფ "**ბასტილიის დღე**" **01.25** მხ/ფ "**რეიდი**" **03.35** მხ/ფ "**ოჯახური პორტრეტი**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.35** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ნინო ჟიჟილაშვილის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-4**" **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **10** სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები**" **17.00** სერ. "**ფარი 3**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **20.00** სერ. "**ჯაშუში 5**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **11** სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი**" **00.30** მხ/ფ "**მამაცი**" **02.30** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" **04.30** მხ/ფ "**ბნელი წყალი**" **06.20** მხ/ფ "**სიცოცხლეზე მონადირე**"

იბერია **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 18.05, 19.50** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 01.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 04.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 02.20** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **20.00, 3.20** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი 23.00** სახალხო კონტროლი **00.00** ახალი ამბები კოლაჟი

**08.00, 00.00, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**ვასწავლი გიტარაზე დაკვრას**" **11.00** "დილის ტალღა" (სიუჟეტები) **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.20** "ბუნების კანონი" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **13.30** დ/ფ **14.30** "ერთი დღე სოფელში" **15.30** "სცენა" **16.00** მხ/ფ "**ადამიანური სურვილები**" **18.30** "უცხო სუნელი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** "ეთნოფორი" **22.00** "ახალი სივრცე" **23.30, 00.05** მხ/ფ "**კარგი, ცუდი, ბოროტი**"

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **10.15** ქართული ალბომი **10.40** მოკ/ფ "**მხოლოდ ერთხელ**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**ადამიანთა სევდა**" **13.30** კონცერტი - ანს. "საგალობელი" **15.05** დ/ფ **16.20** კონცერტი - კამერული მუსიკის კონცერტი - ემიგრანტები **18.05** ანდრია კრეტელი - სინანულის დიდი კანონი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადი" **20.40** წმინდა ანდრია კრეტელის დიდი კანონი (განმარტება) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** ქრისტიანული სწავლება **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.35** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **01.50** კონცერტი -სტუმრად კვარტეტთან **03.05** მხ/ფ "**რიგითი რაიანის გადასარჩენად**"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.4638

ევრო — 3.0595

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.455

100 რუსული რუბლი — 4.369

## ამინდის პროგნოზი 22 თებერვლისთვის




## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

### კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 22 თებერვლიდან




ეჟენ იონესკო

### განდგომილი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

### ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი“-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## იუმორი



კაცი ფერმას ყიდულობს და მის პატრონს ეუბნება:

– ყველაფერი მომეწონა, მაგრამ აი ის, რამდენიმე სკა, სახლთან ძალიან ახლოს არ არის?

– არა, ბატონო. ამდენი წელია მასე დგას და ფუტკრებს ჯერ არავინ დაუკბენიათ.

– მაგას ვერ დავიჯერებ. მოდი ასე შევთანხმდეთ, თქვენ აი ამ ბოძზე მიმაბით სრულიად შიშველი და თუ ხვალ დილისთვის სხეულზე ერთი ნაკბენიც არ მექნება, თქვენ მიერ დასახელებულ თანხაზე ორჯერ მეტს გადაგიხდით, ხოლო თუ ერთი ნაკბენი მაინც აღმომაჩნდება, მაშინ ფერმას უფასოდ დამითმობთ.

ფერმერი დაეთანხმა. მეორე დილით სახლიდან გამოდის და ხედავს, რომ მყიდველს ფერი აღარ ადევს და არაქათგამოცლილია. მასთან მივარდა და შეშინებული ეკითხება:

– რა დაგემართა, ექიმი გამოვიძახო.

– არა, გმადლობთ, საჭირო არ არის, ყველაფერი წესრიგში. მხოლოდ, როგორც ჩანს, თქვენთვის ორმაგი თანხის მოცემა მომიწევს... მხოლოდ ერთი რამე გამაგებინეთ, იმ ხბოს დედა არ ჰყავს?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღესაც ვცადე ჩემი მეგობარი გოგონას უკან დაბრუნება, მაგრამ არაფერი გამომივიდა.

– რატომ?

– რაც ჩემთან გადმოვიდა, მისი მშობლები სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობენ.

•••

ეზოში ფეხბურთის თამაშის დროს ერთ-ერთმა ბავშვმა ბურთით ქალს ფანჯარა ჩაუმტვრია. ცოტა ხნის შემდეგ კარზე დაუკაკუნა და ეუბნება:

– ბოდიშით, შუშა რომ ჩაგიმტვრიეთ. ახლავე მამაჩემი მოვა და ახალ მინას ჩასვამს.

მართლაც მამაკაცი შევიდა, ქალმა ბავშვს დაუბრუნა ბურთი. კაცმა მინა ჩასვა და ქალს ეუბნება:

– თქვენზე ათი ლარია გადასახდელი.

– რა ათი ლარი, იმ ბიჭის მამა არ ხართ, – ეკითხება გაკვირვებული ქალი.

– არა, თქვენ რა, მისი დედა არ ხართ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

### პაპაჩემი სტალინი




წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 16 თებერვლიდან




შორენა ლებანიძე

### ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

### დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## ბაიერნმა ზედიზედ მე-14 შეხვედრა მოიგო



მიუნხენის ბაიერნმა თავისი რეკორდი გაიმეორა და ზედიზედ 14 შეხვედრა მოიგო ყველა ტურნირში. ადრე მსგავსი რამ 1980 წელს მოხდა. შემდეგი მატჩი ბაიერნს ჰერტას წინააღმდეგ აქვს ჩასატარებელი და თუ მიუნხენელებმა ის მატჩი მოიგეს, მაშინ ისინი თავიანთ ახალ რეკორდს დაამყარებენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გუნდში იუპ ჰაინკესის მოსვლის შემდეგ ბაიერნი გაცილებით უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს. მიუნხენელებმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის პირველ შეხვედრაში თურქული ბეშიქთაში 5:0 გაანადგურეს და მეოთხედფინალის საგზური გაინაღდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ტიბო კურტუა რეალში გადასვლას არ გამორიცხავს



ლონდონის ჩელსის მეკარე ტიბო კურტუა რეალში გადასვლას არ გამორიცხავს. კურტუამ განაცხადა, რომ ჩელსიში ის ბედნიერია, მაგრამ თუ მას მადრიდიდან დაურეკავენ, ის აუცილებლად იფიქრებს რეალის შეთავაზებაზე.

– რეალი უდიდესი კლუბია და იქ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. ჩელსიდან წასვლა არ მინდა, მაგრამ მომავალში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. რეალის წინადადებაზე აუცილებლად დავფიქრდები, – განაცხადა ტიბო კურტუამ.

კურტუას შეძენაზე რეალი მას შემდეგ დაფიქრდა, რაც მადრიდელებმა დავიდ დე ხეას გადმობირება ვერ შეძლეს.

## ანდრეს ინიესტა ჩინეთში გადასვლაზე დაფიქრდა



ბარსელონას ერთ-ერთ ლიდერს ანდრეს ინიესტას ჩინეთში ეპატიჟებიან და ანაზღაურების სახით წელიწადში 35 მილიონ ევროს სთავაზობენ. ინიესტას ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ ესპანეთში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინიესტა ზაფხულში თავის ტრანსფერს არ გამორიცხავს.

ინიესტას მამამ ასევე განაცხადა, რომ თუ ინიესტა ბარსელონადან წავა, კატალონიელები მის ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდებიან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი 1

**შვეულად;** 1. მდინარე რიონის ძველბერძნული სახელწოდება; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. რბილი, ფერადი ფანქრები ფერწერისთვის; 8. ტყავის დამამზადებელი ოსტატი ძველად; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. „როლინგ-სტოუნზის“ ლიდერი; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისგან შხამქიმიკატების შეხრჩოლებით; 6. აზრის არაპირდაპირი, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ქალაქი სამეგრელოში; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 13. პროფესიონალი ცხენოსანი; 15. მოხეტიალე ცირკი; 17. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 18. ცის უმაღლესი, წარმოსახვითი წერტილი; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. მუსლიმანთა რელიგიური სამართალი.




**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**